

სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში

პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო
მთხელეთათვის

წინამდებარე პუბლიკაცია – სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საქარო სამსახურში, არის პრაქტიკული სახელმძღვანელო სამხარეო ადმინისტრაციებისა (გუბერნიებისა) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიების, გამგეობებისა და საკრებულოების თანამშრომელთათვის.

სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის – „**საქარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე**“, ფარგლებში, რომელიც 2015-2016 წლებში **სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ** განახორციელა. პროექტი ემსახურებოდა „**საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2014-2015 წლებისთვის)**“ გათვალისწინებული მიზნის – „**საქარო სამსახურში სეკულარიზმის პრინციპის განმტკიცება**“, მიღწევას.

გამოცემა მომზადებულია **კონრად ადენაუერის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის** მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და ინფორმაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის თვალსაზრისს.

მთავარი რედაქტორი: ზაზა ვაშაყმაძე

ავტორთა ჯგუფი: ზაზა ვაშაყმაძე	არჩილ მეტრეველი
ლევან აბაშიძე	დავით დავითაშვილი
ზაზა ფირალიშვილი	არჩილ გორხელაშვილი
გელა კვარაცხელია	

პროექტის ასისტენტი: ნინო ასათიანი

დამკაბადონებელი: გვანცა მახათაძე

© სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო / 2016

© კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა / 2016



რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო



ადამიანის უფლებათა
დაცვის სამსახური

შინაარსი

წინასიტყვაობა	4
სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
თავი I. სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი	10
კონცეფცია	10
სეკულარული მმართველობა	11
კონსტიტუციური გარანტიები	12
საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა	13
შემთხვევათა ანალიზი	15
თავი II. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება	17
კონცეფცია	17
რელიგიის შინაგანი და გარეგანი თავისუფლება	18
რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალური და კოლექტიური ასპექტები	21
კონსტიტუციური გარანტიები	23
საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა	24
შემთხვევათა ანალიზი	25
თავი III. მრავალფეროვნება და შემწყნარებლობა	28
კონცეფცია	28
შემწყნარებლობის სამოქალაქო და პოლიტიკური ასპექტები	29
კონსტიტუციური გარანტიები	31
საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა	33
შემთხვევათა ანალიზი	34
თავი IV. კანონის წინაშე თანასწორობა და არადისკრიმინაციული გარემო	37
კონცეფცია	37
კონსტიტუციური გარანტიები	39
საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (2014 წელი)	40
საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა	43
შემთხვევათა ანალიზი	44
დანართი: ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა	47

წინასიძველობა

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, სახელმწიფოს ერთიანი რელიგიური პოლიტიკის ფარგლებში, სეკულარული მმართველობისა და საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობა.

პროექტი – „საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა სახელმძღვანელო, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, 2015-2016 წლებში განახორციელა. პროექტი უკავშირდებოდა „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის)“ მიზნებს, კერძოდ, „საჯარო სამსახურში სეკულარიზმის პრინციპის განმტკიცებასა“ და „საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებას რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე“.

პროექტი ითვალისწინებდა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას სამხარეო ადმინისტრაციების (გუბერნიების), ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიის, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, მთელი საქართველოს მასშტაბით, სათანადო კომპეტენციის მქონე ექსპერტების მონაწილეობით. სასემინარო და სადისკუსიო ფორმატის ფარგლებში გამართული სამუშაო შეხვედრები – რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი, დაეთმო ისეთ საკითხებზე მსჯელობას, როგორცაა: რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, შემწყნარებლობა და სეკულარიზმი, და ამ მხრივ სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკა და თითოეული საჯარო მოხელის პირადი პასუხისმგებლობა. პროექტის ფარგლებში სასემინარო და სადისკუსიო მუშაობას, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, უძღვებოდნენ მოწვეული ექსპერტები, რომლებიც ამავდროულად წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორები არიან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტექსტი სტრუქტურულად დაყოფილია ცალკეულ თავებად, რაც თითოეული კონცეფციის ამომწურავად წარმოდგენისა და აღქმის შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად ამისა, მკაფიო ზღვარის გავლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, სეკულარიზმის, რელიგიური ნეიტრალიტეტის, მრავალფეროვნების, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის კონცეფციებს შორის, შეუძლებელია, რადგან ისინი ერთმანეთიდან გამომდინარეობენ და ერთმანეთს განაპირობებენ. სახელმძღვანელოს აქვს სპეციალური დანართი, რომელიც მოიცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს, რაც ხელს უწყობს ამ უფლებრივი სიკეთის სამართლებრივი კონცეფციის ერთიან აღქმას და პრაქტიკაში გამოყენებას.

სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა მწყობრი სახელმწიფოებრივი ხედვებისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომლის საშუალებითაც აფუძნებს სახელმწიფო სეკულარულ და რელიგიურად ნეიტრალურ მმართველობას, იცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით გარანტირებულ ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებებს, ხელს უწყობს საზოგადოებაში შემწყნარებლობის კულტურის გაძლიერებას, ქმნის კანონის წინაშე თანასწორობის გარანტიებს და უზრუნველყოფს არადისკრიმინაციულ გარემოს. სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა ემსახურება მრავალფეროვან გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და განვითარების უზრუნველყოფას.

საქართველოს სახელმწიფო რელიგიური პოლიტიკის განხორციელებისას შემდეგი ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობს:

სეკულარული მმართველობა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პოლიტიკური და რელიგიური ინსტიტუტების ერთმანეთისგან ფუნქციურ გამიჯვნას, როდესაც სახელმწიფოს მართვის პოლიტიკა თავისუფალია რელიგიური, განსაკუთრებით კონფესიური გავლენებისგან, პირადი რელიგიური ცხოვრება და რელიგიური ჯგუფების (გაერთიანებების) საქმიანობა კი დაცულია სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ჩარევისგან.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა, რაც გულისხმობს ინდივიდუალური თუ კოლექტიური რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა (პერსონალური თუ ჯგუფური ღვთისმსახურება და ორგანიზაციული საქმიანობა) და შეხედულებების დაცვისა და თავისუფალი გამოხატვის უზრუნველყოფი კანონმდებლობის, მათ შორის, საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ჩათვლით, არსებობას, მის განუხრელ აღსრულებასა და მასზე დაუბრკოლებელი წვდომის გარანტირებას ყველასთვის.

მრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარება, რაც გულისხმობს საქართველოსთვის დამახასიათებელი რელიგიური მრავალფეროვნების, როგორც საერთო ეროვნული სიმდიდრის, დაცვასა და იმგვარი პოლიტიკური პრაქტიკის დამკვიდრებასა და საკანონმდებლო უზრუნველყოფას, რომელიც ხელს შეუწყობს განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს თავისუფალ განვითარებაში.

შემწყნარებლობის კულტურის გაძლიერება, რაც გულისხმობს განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებსა და მსოფლმხედველობებს შორის ისტორიულად დამკვიდრებული შემწყნარებლური თანაარსებობის კულტურის დაცვასა და მის განვითარებას მიმდინარე გამოწვევების შესაბამისად, ერთი მხრივ, რელიგიური თვითმყოფადობის თავისუფალი გამოხატვი-

სა და ინტერრელიგიური დიალოგის ხელშეწყობით, ხოლო მეორე მხრივ, რელიგიის ან რწმენის ნიშნით შეუწყნარებლობის ნებისმიერ ფორმაზე ადეკვატური რეაგირებითა და სათანადო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებებით.

კანონის წინაშე თანასწორობისა და არადისკრიმინაციული გარემოს უზრუნველყოფა, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით დაუბრკოლებელ და თანაბარ სარგებლობას ყველასთვის, რელიგიისა თუ რწმენის მიუხედავად, ხოლო მეორე მხრივ, ინდივიდუალური თუ კოლექტიური რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმაზე ადეკვატურ რეაგირებასა და სათანადო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებებს.

რელიგიური უმცირესობების დაცვა, რაც გულისხმობს უმცირესობას მიკუთვნებული რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობის დაცვისთვის საჭირო პოლიტიკური, სამოქალაქო და სამართლებრივი მექანიზმების არსებობას, მათ შორის, საზოგადოებრივი ცნობადობისა და ცნობიერების ასამაღლებელი სპეციალური ღონისძიებების ჩათვლით.

თითოეული ამ პრინციპის მაღალი ღირებულების მიუხედავად, ვერცერთი მათგანი დამოუკიდებლად, განყენებულად ვერ უზრუნველყოფს შემწყნარებლურ, მშვიდობიან, აღიარებასა და პატივისცემაზე დამყარებულ პოზიტიურ პოლიტიკურ, სამოქალაქო თუ სამართლებრივ წესრიგს. შესაბამისად, მათი არსებითი ერთობლიობა ქმნის სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკას, რომლის სათანადოდ განსახორციელებლად საჭიროა პოლიტიკური ძალისხმევა და სამართლებრივი ინსტრუმენტების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული საჯარო მოხელის ინდივიდუალური ღირებულებები და პირადი პასუხისმგებლობა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

საქართველოსთვის დამახასიათებელი რელიგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობის, ასევე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის, სეკულარული მმართველობისა და შემწყნარებლური გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებების სრულფასოვნად შესასრულებლად, საქართველოში არსებობს შესაბამისი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის სახელმწიფო – **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო**.

ევროპის ქვეყნების საუკეთესო თანამედროვე გამოცდილების გაზიარებით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაარსა სსიპ **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** (საქართველოს მთავრობის დადგენილება N177, 2014 წლის 19 თებერვალი). სააგენტო საკუთარ სარეკომენდაციო უფლებამოსილებას საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებთან ინტერრელიგიური დიალოგის ფორმატში დასმული საკითხებისა და კვალიფიციური კვლევების შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე ახორციელებს.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, მისი დებულების თანახმად, არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის საინფორმაციო, კვლევით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობას ეწევა რელიგიის სფეროში (მუხლი 1).

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში (მუხლი 2):

- ა) იკვლევს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოში რელიგიის სფეროში არსებულ მდგომარეობას;
- ბ) ამზადებს რეკომენდაციებს, მათ შორის სამართლებრივი აქტების პროექტების სახით და გასცემს კონსულტაციებს რელიგიური გაერთიანებებისათვის პრობლემატურ საკითხებზე;
- გ) ამზადებს რეკომენდაციებს კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით;
- დ) იკვლევს ევროპის კავშირის ქვეყნებში არსებულ სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობათა სისტემებს;
- ე) შეისწავლის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების გამოცდილებას და სტანდარტებს რელიგიის სფეროში;
- ვ) კვლევების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს საქართველოს მთავრობას;
- ზ) ამყარებს კავშირს და თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ ორგანიზაციებთან;

- თ) ქმნის და აწარმოებს რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკს;
- ი) უფლებამოსილი ორგანოებისათვის გასცემს რეკომენდაციებს რელიგიურ – საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობების რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე;
- კ) საქართველოს მთავრობის სახელით, უფლებამოსილია შეასრულოს შუამავლის ფუნქცია და მონაწილეობა მიიღოს იმ დავებისა და საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეიძლება გაჩნდეს საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს შორის;
- ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს წინადადებებს რელიგიის სფეროში განათლების შესახებ;
- მ) შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად;
- ნ) ხელს უწყობს ინტერრელიგიური და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებას რელიგიურ გაერთიანებათა შორის;
- ო) ახორციელებს პრემიერ-მინისტრის დავალებებს რელიგიის სფეროში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, საკუთარი კომპეტენციით, არის შუამავალი გროლი რელიგიურ ჯგუფებსა (რელიგიურ გაერთიანებებსა) და სახელმწიფოს შორის. ამ მხრივ, სააგენტოს სარეკომენდაციო საქმიანობა მნიშვნელოვანი რესურსია სამხარეო ადმინისტრაციებისა (გუბერნიებისა) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის, რათა სათანადოდ შეისწავლონ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შემავალი რელიგიის საკითხები და გადაწყვეტილებები სახელმწიფოს ერთიანი რელიგიური პოლიტიკის შესაბამისად მიიღონ.

თავი I. საკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი

კონცეფცია

კონცეპტუალურად, **სეკულარიზაცია**, როგორც პროცესი, უკავშირდება რელიგიის როლს საზოგადოებაში და მის მიმართებას სახელმწიფოსთან.

ტერმინი **სეკულარიზმი** მომდინარეობს ლათინური ძირიდან **saeculum**, რაც, ამ ცნების ჩვენთვის მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური გაგებით, ნიშნავს **საეროს, გასაეროებულს**. არსობრივად, ეს არის სიკეთე, რომელიც გათავისუფლებულია **რელიგიურისგან, საკრალურისგან**, რისი გავლენის ქვეშაც ის არაკანონზომიერად იყო. უფრო კონკრეტულად, სეკულარიზმი მოიაზრებს რელიგიური დოგმებისა და ინსტიტუციური გავლენებისგან თავისუფალ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს. ამ მნიშვნელობით, ტერმინი **სეკულარიზმი** უკვე XIX საუკუნიდან გამოიყენება.

თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური გაგებით ის განიმარტება, როგორც **საზოგადოებაში რელიგიის როლის შემცირება**, კერძოდ კი რელიგიური გავლენების შესუსტება ან მოშლა ისეთ სფეროებზე, როგორცაა სახელმწიფო პოლიტიკა, სამართალი, მეცნიერება, ხელოვნება, განათლება და სხვ. თუმცა, ეს არ ნიშნავს საზოგადოებიდან რელიგიის სრულ განდევნას. უფრო მართებულია განმარტება, რომლის თანახმადაც, სეკულარულ **საზოგადოებაში რელიგიის როლი იმგვარად იცვლება**, რომ პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებისა და კონტროლის ნაცვლად, რელიგია საერო სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ-სამოქალაქო წესრიგში არსებობს. მსგავს საზოგადოებებში რელიგია ფოკუსირებულია სულიერ, მორალურ, ზნეობრივ სფეროებზე და ამდენად, მისთვის უფრო ბუნებრივ და შესაბამისად, მყარ მდგომარეობას იძენს.

სამართლებრივი გაგებით, სეკულარიზაცია გულისხმობს **სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნას** ფუნქციური და ინსტიტუციური ნიშნებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, ერთდროულად ემსახურება სახელმწიფო პოლიტიკის გათავისუფლებას მისთვის არათვისობრივი რელიგიური გავლენებისგან და რელიგიის გათავისუფლებას დაუშვებელი პოლიტიკური ჩარევისგან. შესაბამისად, სეკულარიზმი არის ორმხრივი სიკეთე, რომლითაც თანაბრად სარგებლობს სახელმწიფოც და რელიგიაც.

სეკულარიზმის პოლიტიკური კონცეფცია საკუთარ თავში გარდაუვლად მოიცავს **სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტის** იდეას. სახელმწიფო, წარმოადგენს რა განსხვავებული რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა და შეხედულებების მქონე მოქალაქეების მიერ დაფუძნებულ ინსტიტუტს, რომელიც სარგებლობს ამ მოქალაქეებისგან „დათმობილი“

ლეგიტიმური ძალადობის მექანიზმებით, დაუშვებელია საკუთარ პოლიტიკურ იდეოლოგიას აფუძნებდეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ რელიგიურ დოქტრინაზე. ეს იქნებოდა მრავალფეროვან საზოგადოებაში ერთი კონკრეტული რელიგიური იდენტობის მქონე ჯგუფისა და მისი რელიგიური ინსტიტუტისთვის გაუმართლებელი ექსკლუზივის მინიჭება. მსგავსი ექსკლუზიურობა, თავის მხრივ, გარდაუვალ შედეგად გამოიწვევს სახელმწიფოს ლეგიტიმური ძალადობის მექანიზმების ერთი კონკრეტული რელიგიის ზეგავლენის ქვეშ მოქცევას – „არალეგიტიმურ კონფესიურ ძალადობას“ განსხვავებული რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა და შეხედულებების ინდივიდებისა თუ ჯგუფების მიმართ. ამ გაგებით, სახელმწიფოებრიობა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ერთ კონკრეტულ რელიგიას მიკუთვნებულ ადამიანებთან და მის ინსტრუმენტს წარმოადგენდეს. დემოკრატიული სახელმწიფო მრავალფეროვანი საზოგადოების – განსხვავებული რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა და შეხედულებების მოქალაქეთა ერთობაა, სადაც თავისი რელიგიური ნიშნით მეორეხარისხოვან ადამიანად არავინ ითვლება.

სეკულარული მმართველობა

მნიშვნელოვანია, სეკულარიზმი არ აღიქმებოდეს სახელმწიფოს მიერ რელიგიის, როგორც საზოგადოებრივი ღირებულებების ერთ-ერთი საფუძვლის, მთლიანად უგულებელყოფად. მეტიც, ამ ნიშნით, სახელმწიფო პოლიტიკა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რელიგიური თემებისა და მორწმუნეთა მიმართ ისეთ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს, როგორცაა, ერთი მხრივ, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა, რელიგიური მრავალფეროვნების ხელშეწყობა, თანასწორობისა და შემწყნარებლობის კულტურის გაძლიერება და რელიგიური თემების წინაშე მდგარი ცალკეული ფინანსური თუ ქონებრივი საჭიროებების უზრუნველყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, მორწმუნეთა და რელიგიურ თემთა დისკრიმინაციისაგან, შეუწყნარებლობისა და დევნისგან დაცვა, სათანადო პოლიტიკური და სამართლებრივი გარანტიების შექმნით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, თანმდევი უფლებებითა და სახელმწიფო ვალდებულებებით, იმავე რიგის დემოკრატიული სიკეთეა, როგორც სეკულარული მმართველობა.

სეკულარული მმართველობის პირობებში მთავრობა არ ერევა მოქალაქეთა რელიგიურ ცხოვრებაში და რელიგიას, ზოგადად, განსაკუთრებით კი ერთ კონკრეტულ რელიგიურ დოქტრინას, არ ადგენს საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა რიგის გადაწყვეტილებების განმსაზღვრელ ფაქტორად. ცხადია, ეს არ გამორიცხავს თავად ხელისუფლების წარმომადგენელთა, პოლიტიკოსთა და საჯარო მოხელეთა პირად რელიგიურ ცხოვრებას, მაგრამ თანამდებობრივი საქმიანობისას გადაწყვეტილებებს სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპით უნდა იღებდნენ და ეყრდნობოდნენ

ობიექტურ ფაქტებს, რაციონალურ ანალიზს და არა სუბიექტურად გაგებულ რელიგიურ ტემპარატებს.

კონსტიტუციური გარანტიები

საქართველოს კონსტიტუცია, მართალია, არ მოიცავს **სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის** შესახებ მკაფიოდ ფორმულირებულ ზოგადი შინაარსის ნორმებს, თუმცა კონსტიტუციის მე-9, მე-14 და მე-19 მუხლები, ადამიანის უფლებების, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისა და დემოკრატიული მმართველობის ერთიანი კონსტიტუციური გარანტიების კონტექსტში, სრულად მოიაზრებს ამ პრინციპებს.

კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად, **სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან**. ეს ორი ნორმა და საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიული პოლიტიკური წყობილების დამდგენი კონსტიტუციური პრინციპები, ცალსახად გულისხმობს სახელმწიფოსგან არა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ, ზოგადად რელიგიური ინსტიტუტების დამოუკიდებლობას – სეკულარიზმს. ამასთან, კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (2002 წ.), როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი და მისი ნორმატიული შინაარსი, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სეკულარული გამიჯვნის, კიდევ ერთი პირდაპირი კონსტიტუციური გარანტიაა.

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში [საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9].

სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტის კონტექსტში, მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი (კანონის წინაშე თანასწორობა), რომელიც ადგენს კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობას, სხვა ნიშნებთან ერთად, მათი რელიგიური კუთვნილების ან შეხედულებების მიუხედავად.

კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი განზოგადდება ადამიანთა ჯგუფების, მათ შორის, რელიგიური თემების, მასშტაბით და სახელმწიფოს კანონით გარანტირებული სიკეთეების თანასწორად უზრუნველყოფის ვალდებულებას აკისრებს, რაც, რელიგიური თემების კონტექსტში, ცალსახად გულისხმობს სახელმწიფოს რელიგიურ ნეიტრალიტეტს.

საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა

საჯარო მოხელე – ერთიანი სახელმწიფოს წარმომადგენელი. საქართველო, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, წარმოადგენს მის მთლიან მოსახლეობას, მრავალფეროვანი შემადგენლობით და თითოეულ მოქალაქეს, საკუთარი რელიგიური იდენტობით. ამდენად, ნებისმიერი საჯარო მოხელე უნდა აცნობიერებდეს, რომ მოქალაქესთან (მოქალაქეთა ჯგუფთან) ურთიერთობისას საკუთარი თანამდებობრივი სტატუსით წარმოადგენს მთლიან სახელმწიფოს, ანუ მასში მცხოვრებ ყველა რელიგიურ თემს. შესაბამისად, ნებისმიერი სახის რელიგიური მიკერძოებულობით, საჯარო მოხელე სახელმწიფოს და მისი მრავალფეროვანი საზოგადოების ერთიანობის პრინციპს ხელყოფს.

საჯარო მოხელის პირადი რელიგიური მრწამსი, პრაქტიკა და შეხედულებები. საჯარო მოხელემ, როდესაც თანამდებობრივ უფლებამოსილებას ასრულებს, მოქალაქესთან (მოქალაქეთა ჯგუფთან) ურთიერთობისას პირდაპირი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში თავი უნდა შეიკავოს რელიგიური შინაარსის საჯარო განცხადებებისგან, არ უნდა მოახდინოს საკუთარი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების მიზანშეუწონელი დემონსტრირება, მით უფრო, არ უნდა იხელმძღვანელოს ამ ნიშნებით საკუთარი თანამდებობრივი უფლებამოსილების შესრულებისას.

საჯარო მოხელე და მოქალაქე (მოქალაქეთა ჯგუფი). მნიშვნელოვანია, საჯარო მოხელე აცნობიერებდეს, რომ სეკულარული მმართველობა და რელიგიური ნეიტრალიტეტი არ ნიშნავს მისი მხრიდან მოქალაქის (მოქალაქეთა ჯგუფის) რელიგიური საჭიროებების სრულ უგულებელყოფას. მეტიც, საჯარო მოხელე ვალდებულია გულდასმით განიხილოს ყოველი კონკრეტული საკითხი და ყოველთვის, როცა კი რელიგიური შინაარსი იკვეთება, მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს სწორედ ამ ასპექტს. მნიშვნელოვანია, რომ საკითხს

რელიგიურ დატვირთვას პირველ რიგში თავად მოქალაქე (მოქალაქეთა ჯგუფი) ანიჭებდეს და საჯარო მოხელე მხოლოდ ამის შემდეგ განიხილავდეს მას ამ მნიშვნელობით. თავის მხრივ, აუცილებელია, რომ მოქალაქის (მოქალაქეთა ჯგუფის) მიერ წამოჭრილი საკითხის რელიგიური შინაარსი ობიექტური იყოს და არა არაგონივრულად ინტერპრეტირებული.

სეკულარიზმი საჯარო სამსახურში. სეკულარული მმართველობისა და რელიგიურად ნეიტრალური საჯარო სამსახურის პირობებში, დაუშვებელია საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირის (უშუალო ხელმძღვანელის, სტრუქტურული ერთეულის ან/და დაწესებულების ხელმძღვანელის) მიერ თანამშრომლისთვის პირადი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების შესახებ ინფორმაციის სავალდებულო მოთხოვნა, როგორც სამსახურში მიღებისას, ასევე, თანამდებობრივი საქმიანობის განხორციელების პერიოდში. რადგან, ამგვარი ინფორმაციის სავალდებულო გაცხადება არღვევს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცულ უფლებებს, სეკულარული მმართველობის პრინციპებს და დისკრიმინაციის საფრთხეს ქმნის.

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის პირადი რელიგიური მრწამსი, პრაქტიკა და შეხედულებები. დაუშვებელია საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირი (სტრუქტურული ერთეულის ან/და დაწესებულების ხელმძღვანელი) დემონსტრაციულად გამოხატავდეს საკუთარ რელიგიურ მრწამსსა და შეხედულებებს, რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით დისკუსიაში შედიოდეს საკუთარ თანამშრომლებთან, ადმინისტრაციულ რესურსსა და სამუშაო დროს იყენებდეს პირადი რელიგიური პრაქტიკისთვის. რადგან, ამგვარი ქმედება არღვევს საჯარო სამსახურის საეროობის პრინციპს, იძულებით ახალისებს კონკრეტული რელიგიის მიმართ თანამშრომელთა პოზიტიურ დამოკიდებულებებს და შესაბამის დაწესებულებაში მომუშავე საჯარო მოხელეთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საფრთხეს ქმნის.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მოიცავს საკუთარი რელიგიური მრწამსის გაცხადებისა და პირადი რელიგიური პრაქტიკის დაუბრკოლებლად განხორციელების უფლებას საქართველოს ყველა მოქალაქის, მათ შორის, საჯარო მოხელეთა მიერ. მიუხედავად ამისა, საჯარო მოხელის თანამდებობრივი სტატუსი წარმოშობს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებასა და სეკულარული მმართველობის პრინციპებს შორის, განსაკუთრებით კი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ბალანსის დაცვის ვალდებულებას. საჯარო მოხელე, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი მოქალაქესთან (მოქალაქეთა ჯგუფთან) ურთიერთობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოხატავდეს სახელმწიფოს პოზიტიურ სახეს, რომელიც მრავალფეროვან რელიგიურ საზოგადოებაში საკუთარი პოლიტიკის განხორციელებისას, სწორედ, სეკულარული მმართველობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს ეყრდნობა.

შემთხვევათა ანალიზი

შემთხვევა I: ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს მოქალაქემ კომერციული ობიექტის მშენებლობისთვის სათანადო ნებართვის მოპოვების თხოვნით მიმართა. საქმის მწარმოებელმა საჯარო მოხელემ, რომლისთვისაც ცნობილი გახდა, რომ ეს მოქალაქე კონკრეტულ რელიგიურ თემს მიეკუთვნებოდა, ამ ინფორმაციის დადასტურების მიზნით, მას დაუსვა კითხვები მისი რელიგიური მრწამსის შესახებ. მოქალაქემ დაადასტურა, რომ ის ნამდვილად იყო ამ რელიგიური თემის წევრი, რის შემდეგაც, საჯარო მოხელე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცდილობდა დაერწმუნებინა მოქალაქე მისი რელიგიური მრწამსის მიუღებლობაში, რადგან თავად „ტრადიციულ“ რელიგიურ მრწამსს აღიარებდა. საქმის წარმოების პერიოდში საჯარო მოხელემ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება გამოავლინა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესში ხელოვნური დაბრკოლებები შექმნა.

ანალიზი: განხილულ შემთხვევაში, საჯარო მოხელემ დაარღვია სეკულარული მმართველობის რამდენიმე პრინციპი:

1. **დაირღვა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება** მოქალაქის მიმართ, რადგან, საჯარო მოხელემ მოითხოვა მისი რელიგიური მრწამსის შესახებ ინფორმაციის სავალდებულო გაცხადება;
2. **დაირღვა საჯარო მოხელის მხრიდან თანამდებობრივი ვალდებულების შესრულების პერიოდში პირადი რელიგიური მრწამსის გაცხადებისგან თავის შეკავების პრინციპი**, რადგან, ის გაუმართლებელ რელიგიურ დისკუსიაში შევიდა მოქალაქესთან;
3. **დაირღვა საჯარო სამსახურის საეროობის პრინციპი**, რადგან, საჯარო მოხელემ საკუთარი თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებისას იხელმძღვანელა პირადი რელიგიური შეხედულებებით.

დასკვნა: დაუშვებელია საჯარო მოხელემ თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებისას მოქალაქეს დემონსტრაციულად გაუცხადოს საკუთარი რელიგიური მრწამსი, პრაქტიკა ან შეხედულებები, ან მისგან მოითხოვოს ანალოგიური ინფორმაციის სავალდებულო გაცხადება და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება თანამდებობრივი ვალდებულებების ფარგლებში. მსგავსი ქმედება არღვევს სეკულარული მმართველობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

შემთხვევა II: ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის გამგებელმა ჩაატარა თათბირი, რომელსაც სავალდებულო წესით გამგეობის ყველა თანამშრომელი ესწრებოდა. თათბირზე, სხვა საკითხებთან ერთად, გამგებელმა რელიგიურ დღესასწაულზეც ისაუბრა, რომელიც მომდევნო დღეს მათ მუნიციპალიტეტში აღინიშნებოდა და თანამშრომლებს სამუშაო დროს

სამსახურში გამოცხადების ნაცვლად საბეიშო ღვთისმსახურებაზე დასწრებისკენ მოუწოდა. გამგებელმა ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ თითოეული თანამშრომელი დღესასწაულთან დაკავშირებით, გარკვეულ თანხას შესწირავდა შესაბამის რელიგიურ გაერთიანებას. მომდევნო დღეს გამგებელი პირადად დაესწრო ღვთისმსახურებას და საკუთარი თანამშრომლების წინაშე დემონსტრაციულად შესწირა თანხა ამ რელიგიურ გაერთიანებას.

ანალიზი: განხილულ შემთხვევაში, ხელმძღვანელმა თანამდებობის პირმა დაარღვია სეკულარული მმართველობის რამდენიმე პრინციპი:

1. **დაირღვა რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ საკუთარ თანამშრომლებთან დისკუსიაში შესვლის დაუშვებლობის პრინციპი**, რადგან, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა ბოროტად გამოიყენა საკუთარი თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარ თანამშრომლებს სავალდებულო ხასიათის რელიგიური მოწოდებებით მიმართა;
2. **დაირღვა ადმინისტრაციული რესურსისა და სამუშაო დროის პირადი რელიგიური პრაქტიკისთვის გამოყენების დაუშვებლობის პრინციპი**, რადგან, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, და მისი მოწოდებით, დაწესებულების სხვა თანამშრომლებიც, თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულების ნაცვლად, სამუშაო დროს ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ და რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნაში მონაწილეობდნენ;
3. **დაირღვა საჯარო სამსახურის საეროობის პრინციპი**, რადგან საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა იძულებით წაახალისა კონკრეტული რელიგიის მიმართ თანამშრომელთა პოზიტიური დამოკიდებულებები და რელიგიური პრაქტიკა.

დასკვნა: დაუშვებელია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებისას ისარგებლოს საკუთარი მდგომარეობით და დაწესებულების თანამშრომლებს მისცეს სავალდებულო ხასიათის რელიგიური მითითებები, დისკუსიაში შევიდეს რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით, წაახალისოს კონკრეტული რელიგიის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება და თანამშრომლები აიძულოს მიმართონ კონკრეტულ რელიგიურ პრაქტიკას. დაუშვებელია საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციული რესურსი და საჯარო მოხელეთა სამუშაო დრო მათ პირად რელიგიურ პრაქტიკას ხმარდებოდეს. მსგავსი ქმედება არღვევს სეკულარული მმართველობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

თავი II. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

კონცეფცია

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც სამართლებრივი და უფლებრივი სიკეთე, თანამედროვე ფორმით ჩამოყალიბებას 1948 წლიდან იწყებს. მანამდე არსებული ღირებულებული საკანონმდებლო და პოლიტიკური დოკუმენტები, რელიგიის თავისუფლებას მხოლოდ ნაციონალურ, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ამკვიდრებდნენ და რელიგიის როლს, იშვიათ შემთხვევაში, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში განსაზღვრავდნენ. 1948 წლის *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ* კი საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, საყოველთაო აღიარებას. დეკლარაციით განიმარტა, როგორც საკუთრივ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კონცეფცია, ასევე, პირადი რელიგიური კუთვნილების, პრაქტიკის ან შეხედულებების მიუხედავად ადამიანთა თანასწორობის პრინციპი.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება იცავს **თეისტურ** (რწმენა, რომელიც ემყარება ღმერთის იდეას), **არათეისტურ** (რწმენა, რომელიც არ ემყარება ღმერთის იდეას) და **ათეისტურ** (რწმენა, რომელიც უარყოფს ღმერთის იდეას) რწმენას, ისევე როგორც არცერთი რელიგიის ან რწმენის არაღიარების უფლებას. რელიგიის თავისუფლება განიარჩევა რელიგიის გამოხატვის თავისუფლებისაგან. ის არ უშვებს რაიმე სახის შეზღუდვებს პიროვნების თავისუფლებაზე, საკუთარი არჩევნით, ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან რწმენა. ეს თავისუფლებები დაცულია უპირობოდ, ხოლო რელიგიის გამოხატვა შესაძლოა ექვემდებარებოდეს გარკვეული სახის შეზღუდვებს.

ნიშანდობლივია, რომ რელიგიის თავისუფლება, თანამედროვე გაგებით, არ არის გამიჯნული რწმენის თავისუფლებისგან, მეტიც, ისინი თითქმის ყველა ეროვნულ (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია) და საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, წარმოდგენილი არიან ეწ. სინდისისმიერი თავისუფლებების ჯგუფში, როგორცაა, საკუთრივ *სინდისის თავისუფლება* და *აზრის თავისუფლება*. რელიგიის თავისუფლების გაერთიანება რწმენის თავისუფლებასთან, მიზნად ისახავს ამ უფლებრივი სიკეთის ფართო განმარტებას, რომელიც არ იზღუდება ისტორიულად ჩამოყალიბებული ან მკაფიო ინსტიტუციური ფორმის მქონე რელიგიებით, არამედ ძირითადად ემყარება ინდივიდუალურ თვითგანსაზღვრას და მოიცავს რწმენის ნებისმიერ გამოვლინებას. სინდისისმიერი ხასიათი კი, ადამიანის პიროვნულ ბუნებასთან მის ფუნდამენტურ კავშირზე მიუთითებს. ამასთან, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, თავისთავად, მოიცავს რელიგიის შესახებ შეხედულებების თავისუფლებასაც.

მნიშვნელოვანია, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება არ არის პასიური უფლება, რომელიც კონკრეტული რელიგიისადმი საკუთარი თავის მიკუთვნებით ან მიუკუთვნელო-

ბით ამოიწურებოდა, არამედ, ამავედროულად აქტიური ინდივიდუალური თუ კოლექტიური ურთიერთობებისა და მოქმედებების რიგს, რელიგიის გამოხატვის უფლებასაც მოიცავს.

მრავალფეროვანი ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შეჯერებით, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიანი კონცეფცია, შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

ყველა ადამიანს აქვს რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, რომელიც მოიცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე მიღების, ქონისა და შეცვლის უფლებას, ასევე უფლებას, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, საჯაროდ ან განკერძოებით შეუფერხებლად გამოხატავდეს საკუთარ რელიგიურ მრწამსსა და პრაქტიკას, ღვთისმსახურებით, რიტუალების აღსრულებით, წეს-ჩვეულებათა შესრულებით, მოძღვრებითა და სწავლებით.

არავინ არ შეიძლება იდევნებოდეს საკუთარი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო, ექცეოდეს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, ან იძულებული იყოს გააცხადოს პირადი რელიგიური მრწამსი ან შეხედულებები.

დაუშვებელია ამ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა, გარდა კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც საფრთხე ემუქრება სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

რელიგიის შინაგანი და გარეგანი თავისუფლება

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია. მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლების ფორმულირებისას სამართლებრივი აქტები ხაზგასმით გამოყოფენ რელიგიის კომპონენტს, მნიშვნელოვანია, რომ ის ასევე იცავს ნებისმიერი სახის პირად, მათ შორის, არარელიგიურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, მორალურ თუ სხვა სახის მრწამსს. ამდენად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება არ უნდა გაიგებოდეს განყენებულად, ერთი კონკრეტული უფლების ან ურთიერთობის ფარგლებში, არამედ, მნიშვნელოვანია იმის სრულფასოვნად აღქმა, რომ ეს უფლება თანამედროვე დემოკრატიული, თავისუფალი და მრავალფეროვანი (პლურალური) საზოგადოების განუყოფელი ნაწილია.

რელიგია, იმ ფაქტორთაგან, რომელიც ადამიანის პიროვნებისა და ცხოვრების კონცეფციის ჩამოყალიბებას განაპირობებს, უმნიშვნელოვანესია. რელიგიური მრწამსი განსაზღვ-

რავს ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს, რითაც ის აერთიანებს თავისუფლების „შინაგან“ (საკუთრივ რელიგიური მრწამსი და შეხედულებები) და „გარეგან“ (პირადი რელიგიური პრაქტიკა და მრწამსის გამოხატვა) ასპექტებს.

რელიგიისა და რწმენის შინაგანი თავისუფლება აბსოლუტური უფლებაა. ფუნდამენტური იდეები და მრწამსები, რომელთაც ადამიანის პირადი სინდისი წარმოშობს, შეუძლებელია თავისთავად უკავშირდებოდეს სხვა პირს, საზოგადოებას ან სახელმწიფოს. შესაბამისად, დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან მისი რაიმე სახის შეზღუდვებისთვის დაქვემდებარება.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი ასპექტი, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს რელიგიური მრწამსის ან შეხედულებების „არჩევის თავისუფლებას“, რაც, თავის მხრივ, განივრცობა კონკრეტული მრწამსის ან შეხედულების თავისუფლად მიღების, ქონის ან არქონის, მასზე უარის თქმის ან შეცვლის და მისი გამჟღავნების ან გაუმჟღავნებლობის შესაძლებლობით. ეს აბსოლუტური თავისუფლება გამორიცხავს რაიმე სახის ჩარევას სხვა პირების, მათ შორის, სახელმწიფოს და რელიგიური ჯგუფების მხრიდან, თუკი თავად უფლების მატარებელი არ იქნება თანახმა. მნიშვნელოვანია, რომ ამ არჩევანზე იძულებითი ზეგავლენის უფლება არც იმ რელიგიურ ჯგუფს აქვს, რომელსაც პირი საკუთარ თავს მიაკუთვნებს ან რომლის წევრიცაა.

რელიგიისა და რწმენის გარეგანი თავისუფლება ფარდობითი უფლებაა. პირადი რელიგიური მრწამსის ან შეხედულების გამოხატვა, თავისთავად გულისხმობს გამოხატვის სივრცეს და ობიექტს, მათ შორის, სხვა პირს, საზოგადოებას თუ სახელმწიფოს. ამ ასპექტით, რელიგიისა და რწმენის გარეგანი თავისუფლება, სრულიად იზიარებს *გამოხატვის თავისუფლების* კონცეპტუალურ არსს და უფლებათა შორის აუცილებელი ბალანსის პრინციპით, შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეული სახის შეზღუდვებს სახელმწიფოს მხრიდან, რათა ერთი უფლების ან თავისუფლების დაცვამ მიზანშეუწონლად არ შემლუდოს ან სრულიად არ მოსპოს სხვა უფლებით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობა.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარეგანი ასპექტი მოიცავს ყველაფერს, რაც პირის ან ჯგუფის რელიგიურ პრაქტიკას უკავშირდება, მათ შორის: ღვთისმსახურების უფლებას (ამ მიზნით შეკრების, შესაბამისი შენობებისა თუ ადგილების მოწყობისა და მათი სარგებლობის უფლების ჩათვლით); რელიგიური (რიტუალური) ნივთებისა და ლიტერატურის წარმოების, შექმნისა და გავრცელების უფლებას; კონკრეტული რელიგიური მრწამსის ქადაგებისა და გავრცელების უფლებას, რაც, ასევე მოიცავს ამ რელიგიური მრწამსის შესაბამისი მნიშვნელოვანი და მორალური ნორმების საზოგადოებაში დამკვიდრების შესაძლებლობას (მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს დაუშვებელია იზღუდებოდეს ან ისპობოდეს იმ პირთა არჩევანის თავისუფლება, ვის მიმართაც ხორციელდება რელიგიური ქადაგება);

რელიგიური განათლების უფლებას, რაც მოიცავს შესაბამისი რელიგიურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნებისა და სათანადო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას; რელიგიური ლიდერების თავისუფლად, მხოლოდ რელიგიური თემის შიდა სტანდარტების შესაბამისად შერჩევის უფლებას; რელიგიური დღესასწაულებისა და უქმე დღეების აღნიშვნის უფლებას; რელიგიური თემისთვის აუცილებელ ფინანსურ და ქონებრივ საჭიროებებზე დაუბრკოლებელი წვდომის უფლებას.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გამოხატვის შეზღუდვის პრინციპი ორ საფუძველს ეყრდნობა. უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც მოსახლეობის მრავალფეროვნებას სხვადასხვა რელიგიური მრწამსისა თუ შეხედულებების ჯგუფები ქმნიან, თავისთავად წარმოიშობა განსხვავებულ ინტერესებსა და უფლებებს შორის აუცილებელი ბალანსის დაცვის, უფლებათა გონივრული შეზღუდვის საჭიროება. მეორე, მნიშვნელოვანია, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება არ იცავს ნებისმიერ ქცევას, რომელიც მოტივირებული ან შთაგონებულია რელიგიური მრწამსით ან შეხედულებებით. ეს უფლება უპირობოდ იცავს შინაგან მრწამსს, მაგრამ არა აუცილებლად ნებისმიერ საზოგადოებრივ ქცევას, რომელიც შთაგონებულია ამ მრწამსით. ამდენად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა თავისთავად კი არ წარმოადგენს აუცილებლობას, არამედ უპირატესი მიზნების მიღწევას ემსახურება. შესაბამისად, შეზღუდვა აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს ამ სულისკვეთებიდან და მისი დაწესებისას საჭიროა რიგი სამართლებრივი კრიტერიუმების დაცვა, რათა გაუმართლებელი ინტერპრეტაციის საფუძველზე არ შეიზღუდოს უფლება.

უპირველეს ყოვლისა, *შეზღუდვა უნდა განისაზღვრებოდეს კანონით*, რაც არ შემოიფარგლება საკანონმდებლო ჩანაწერის მხოლოდ ფორმალური არსებობით, არამედ გულისხმობს ნორმის საკმარისი სიზუსტით ფორმულირების აუცილებლობას. ეს, ერთი მხრივ, გამორიცხავს ნორმის გაუმართლებელ ინტერპრეტაციას, მეორე მხრივ, კი რელიგიურ თემებსა და კერძო პირებს საკუთარი უფლებებისა თუ თავისუფლებების განხორციელების ზღვარის შესახებ მკაფიო წარმოდგენას შეუქმნის. ამასთან, აუცილებელია, რომ ასევე ზუსტად იყოს განსაზღვრული შეზღუდვის განმასხორციელებელი სახელმწიფო უწყება, მისი კომპეტენციები და შეზღუდვის ზღვარი.

შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად. კანონით განსაზღვრული მიზნები საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში შემდეგია: საზოგადოებრივი უსაფრთხოების, (საზოგადოებრივი) წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. თუმცა, საქართველოს კონსტიტუცია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის მიზნად, ჩამოთვლილთაგან მხოლოდ უკანასკნელს – სხვათა უფლებების დაცვას, მიუთითებს. როგორც არ უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული მიზნები, მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდვა ამ

მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და არა სასურველი ან სასარგებლო პირობა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეზღუდვის დაუწესებლობამ მყისიერი უარყოფითი, ხოლო დაწესებამ – დადებითი შედეგი უნდა გამოიღოს.

შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, რაც გულისხმობს რაციონალური კავშირის არსებობას მიზანსა და მის მისაღწევ საშუალებებს შორის. გარდა ამისა, უნდა მიიღწეს სამართლიანი ბალანსი მოთხოვნილ საზოგადო ინტერესებსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას შორის. შეზღუდვა დასაბუთებული უნდა იყოს სათანადოდ და საკმარისად და გამოიყენებოდეს უფლების ყველაზე ნაკლებად ხელმყოფი საშუალება.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალური და კოლექტიური ასპექტები

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ერთდროულად ატარებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ხასიათს. შესაბამისად, ამ უფლებით თანასწორად სარგებლობენ, როგორც ინდივიდები (კერძო პირები), ასევე, რელიგიური თემები და მათ მიერ დაფუძნებული გაერთიანებები (იურიდიული პირები).

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კოლექტიური ასპექტი გულისხმობს, რომ რელიგიურ თემებს უფლება აქვთ შექმნან რელიგიური გაერთიანება, ორგანიზებული სტრუქტურა და მიიღონ იურიდიული პირის სტატუსი. ამ უფლების განხორციელების ფარგლებში სახელმწიფო ვალდებულია შექმნას სათანადო კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს რელიგიური გაერთიანებების ჩამოყალიბებას და სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდეს მათთან. მნიშვნელოვანია ეროვნული კანონმდებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების განხორციელების (მაგალითად, ერთობლივი ღვთისმსახურების) იმგვარ გარანტიებს ქმნიდეს, რომ რელიგიური თემისთვის, საკუთარი უფლებებით კოლექტიურად სარგებლობისთვის იურიდიული პირის სტატუსის მოპოვება არ გახდეს სასიცოცხლოდ აუცილებელი, არამედ, მათი თავისუფალი არჩევანი იყოს.

რელიგიური თემის მიერ რელიგიური გაერთიანების დაფუძნება და სამართლებრივი სტატუსის მოპოვება, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან ერთად, გაერთიანების უფლებასაც მოიცავს. შესაბამისად, საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც რელიგიურ თემს ამგვარი იურიდიული პირის შექმნის შესაძლებლობას აძლევს, არსობრივად არ უნდა განსხვავდებოდეს იმ სამართლებრივი პროცედურებისგან, რომლებიც სხვა ტიპის ჯგუფებისთვის იმავე უფლების განხორციელებას უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, რელიგიის

განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს განსხვავებული, სპეციალური პირობები რელიგიური თემებისთვის, თუმცა ეს მიზანშეუწონლად არ უნდა ართულებდეს მათთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას და სხვა ტიპის ჯგუფებთან შედარებით, არ ქმნიდეს გაერთიანების უფლებით სარგებლობის დისკრიმინაციულ საფუძვლებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ სპეციალური პირობების დადგენისას, სახელმწიფო არ შეიჭრას რელიგიის არსის განმარტების სივრცესა და რელიგიური თემების თვითგანსაზღვრის ავტონომიაში, ჩამოაყალიბოს რელიგიის ცნების სავალდებულო სამართლებრივი განსაზღვრება და შექმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული და მყარი ინსტიტუციური ფორმების მქონე რელიგიების სასარგებლოდ, დისკრიმინაციული იქნება ახალი რელიგიური მიმდინარეობების მიმართ.

რელიგიური თემის მიერ იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მოპოვება, რიგ შემთხვევებში, უკავშირდება საერთო ინტერესების დაცვის ისეთ აუცილებლობებს, როგორცაა ერთობლივი ფინანსური და ქონებრივი საჭიროებების უზრუნველყოფა, სასამართლო დაცვის შესაძლებლობა, საკულტო ნაგებობებისა და საგანმანათლებლო, ასევე, საქველმოქმედო ორგანიზაციების დაარსება და ფუნქციონირება, რელიგიური ლიტერატურისა და რიტუალური ნივთების წარმოება, შექმნა, გავრცელება და სხვ. ეს ყველაფერი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კოლექტიურად განხორციელების აუცილებელი პირობებია. შესაბამისად, სახელმწიფოს დაუსაბუთებელი უარი რელიგიური თემისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებაზე, ან ასეთი შესაძლებლობის არარსებობა, არღვევს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას.

რელიგიური გაერთიანების დაფუძნებისთვის აუცილებელი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნისას სახელმწიფოები ეყრდნობიან ეროვნულ თავისებურებებს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავდება და უნივერსალური მოდელი, რომელიც ყველა სახელმწიფოსთვის თანაბრად მისაღები და შესაფერისი იქნებოდა, არ არსებობს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არსებობს რელიგიური გაერთიანების დაფუძნებისა და იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მოპოვების ორი გზა. ერთ შემთხვევაში, იურიდიულ პირად აღიარება ხდება კონსტიტუციური შეთანხმებით, რითაც 2002 წლიდან ექსკლუზიურად სარგებლობს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, სხვა შემთხვევებში კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, რომ არასავალდებულო სახით, რელიგიურ თემებს უფლება აქვთ ჩამოყალიბდნენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები) ან საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ), ან საკუთარ საქმიანობას ახორციელებდნენ, როგორც არარეგისტრირებული კავშირები (მუხლი 1509¹).

ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები განსაზღვრავენ იმ ურთიერთობათა და უფლებათა წრეს, რომლითაც უშუალოდ იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მატარებელი რელიგიური გაერთიანებები სარგებლობენ.

კონსტიტუციური გარანტიები

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი, სიტყვის, აზრისა და სინდისის თავისუფლებასთან ერთად, აღიარებს და იცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას. ამასთან, ზოგადი კონსტიტუციური ჩარჩოთი, ირიბი ნორმების მეშვეობით, ადამიანის უფლებათა ერთიან სფეროში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სრულყოფილი კონტექსტური გააზრება იქმნება.

მე-19 მუხლთან ერთად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიებს ქმნიან კონსტიტუციის შემდეგი მუხლები: მე-9 მუხლი აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და განსაზღვრავს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან; მე-14 მუხლი კრძალავს ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციას სხვადასხვა დაცული ნიშნით, მათ შორის, რელიგიური კუთვნილების ნიშნით; კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლები გამოხატვის თავისუფლების ზოგად საკონსტიტუციო გარანტიებს ქმნიან, რაც თავისთავად მოიცავს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას; 26-ე მუხლი, ერთი მხრივ, იცავს გაერთიანების თავისუფლებას, მათ შორის, რელიგიური ნიშნით გაერთიანების თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, დაუშვებლად აცხადებს ისეთი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური გაერთიანების შექმნას და მასში მონაწილეობას, რომლის მიზანიც რელიგიური შუღლის გაღვივებაა; კონსტიტუციის 38-ე მუხლი კი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ შორის, რელიგიური კუთვნილების მიუხედავად.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიანი კონსტიტუციური გარანტიების ცენტრში, ცხადია, დგას მე-19 მუხლი – *სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება*:

„1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.“

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფორმულირება შედარებით მცირეა, ვიდრე ფორმულირებები, რომლებსაც საერთაშორისო აქტები გვთავაზობს, ის მაინც გაიგება ვრცლად, საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს მთლიან უფლებრივ კონტექსტში. კონსტიტუციური ფორმულირება – ყოველ ადამიანს აქვს აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, თავისთავად გულისხმობს, როგორც თავისუფლების შინაგან, ასევე, გარეგან ასპექტებს და რელიგიის გამოხატვის სრულ უფლებრივ სპექტრს. ამის პირდაპირი დასტურია ამავე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც კრძალავს რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.

მნიშვნელოვანია წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. აღნიშნული ნორმა, ერთი მხრივ, კრძალავს ადამიანის დევნას რელიგიის ან რწმენის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, იცავს ადამიანის თავისუფლებას – არ გამოთქვას საკუთარი შეხედულებები რელიგიის ან რწმენის შესახებ.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით ჩამოყალიბებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკონსტიტუციო ჩარჩო არსებითად შეესაბამება და გამომდინარეობს, როგორც ზოგადად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, კონკრეტულად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოდან.

საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა

პირადი რელიგიური მრწამსისა და შეხედულებების გაუმჟღავნებლობა. დაუშვებელია, საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირი (სტრუქტურული ერთეულის ან/და დაწესებულების ხელმძღვანელი) პირდაპირი ან ირიბი ფორმით ითხოვდეს საკუთარი თანამშრომლების პირადი რელიგიური მრწამსის ან შეხედულებების სავალდებულო გამჟღავნებას. რადგან, ეს არის საჯარო მოხელის პირადი ინფორმაცია, რომელსაც გამჟღავნების ვალდებულებისგან იცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლება.

საჯარო სამსახური და საჯარო მოხელის რელიგიური კუთვნილება. დაუშვებელია სახელმწიფომ დაადგინოს რაიმე სახის სავალდებულო ნორმა, რომელიც საჯარო სამსახურში მიღებისას აწესებს გარკვეული რელიგიური მრწამსის თუ შეხედულებების ქონის ან არქონის ვალდებულებას, მათ შორის, კვოტირების სისტემას განსხვავებული რელიგიური

მრწამსისა და შეხედულებების მქონე პირთათვის. რადგან, საჯარო მოხელის პირადი რელიგიური მრწამსი არ შეიძლება ეხებოდეს საჯარო სამსახურის პოლიტიკურ ან სამართლებრივ მიზნებს და საჯარო მოხელის თანამდებობრივ ვალდებულებებს.

პირადი რელიგიური პრაქტიკა საჯარო სამსახურში. სეკულარული მმართველობა არ გულისხმობს, რომ საჯარო მოხელეს ეკრძალება ნებისმიერი სახის რელიგიური პრაქტიკა. სახელმწიფო არ უნდა ზღუდავდეს საჯარო მოხელეს იმგვარი რელიგიური პრაქტიკის განხორციელებისას, რომელიც გამომდინარეობს მისი რელიგიური მრწამსის აუცილებლობიდან და ხელს არ უშლის სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებას. ნებისმიერ შემთხვევაში, საჯარო მოხელე ვალდებულია დაიცვას სამართლიანი ბალანსი პირად რელიგიურ პრაქტიკასა და მის დემონსტრაციულ გამჟღავნებას შორის. რადგან, თუ რელიგიური სიმბოლიკის ტარება (თუკი ის არ ქმნის საფრთხეს ჯანმრთელობის ან უსაფრთხოებისთვის) წარმოადგენს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას, ამგვარი სიმბოლოების დემონსტრაციული განთავსება საჯარო სამსახურში შესაძლოა არღვევდეს სხვა პირთა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და ამ მხრივ დისკრიმინაციულ გარემოს ქმნიდეს.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე წარმოშობს რიგ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს. მათ შორისაა საჯარო სამსახურში გონივრული პოლიტიკის გატარება, რომელიც ემსახურება საჯარო მოხელეთა პირადი რელიგიური მრწამსისა თუ პრაქტიკის დაცვასა და საჯარო სამსახურში განსხვავებული რელიგიური მრწამსისა თუ შეხედულებების შეთანხმებას.

შემთხვევათა ანალიზი

შემთხვევა I: ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა სამსახურმა კონკურსი გამოაცხადა სამ ვაკანტურ თანამდებობაზე, მოთხოვნებში კი მიუთითა, რომ რეგიონის რელიგიური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, თითოეულ თანამდებობაზე შეირჩეოდა ერთი კონკრეტული რელიგიური კუთვნილების მქონე პირი. შესაბამისად, საკონკურსო განაცხადის ფორმის შევსებისას პირი ვალდებული იყო მიეთითებინა საკუთარი რელიგიური კუთვნილება.

ანალიზი: განხილულ შემთხვევაში, დაირღვა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების რამდენიმე პრინციპი:

1. **დაირღვა პირადი რელიგიური მრწამსისა და შეხედულებების გაუმჟღავნებლობის პრინციპი,** რადგან საჯარო სამსახურში მიღებისთვის სავალდებულო კონკურსის

მონაწილეებს უნდა შეეცნოთ სპეციალური ფორმა, რომელიც მათგან რელიგიური მრწამსის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვდა;

2. **დაირღვა საჯარო სამსახურისა და საჯარო მოხელის რელიგიური კუთვნილების გამიჯვნის პრინციპი**, რადგან თანამდებობები, რომელთა დასაკავებლადაც ცხადდებოდა კონკურსი, დაიტვირთა რელიგიური ნიშნით, რაც არ ყოფილა სავალდებულო და საჭირო შესაბამისი უწყების საჯარო პოლიტიკისა და სამართლებრივი მიზნების მისაღწევად.

დასკვნა: დაუშვებელია, საჯარო სამსახურში მიღებისას, კონკურსანტი, ან თანამდებობრივი საქმიანობის შესრულებისას – საჯარო მოხელე, ექცეოდეს ვალდებულების ქვეშ, რომელიც მისი რელიგიური მრწამსის, შეხედულებების ან პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას ითვალისწინებს, რადგან მსგავსი ვალდებულება არღვევს პირის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას. ამასთან, დაუშვებელია საჯარო სამსახურის თანამდებობრივი მოთხოვნები ითვალისწინებდეს კონკრეტულ რელიგიურ კუთვნილებას, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც თანამდებობრივი საქმიანობა უკავშირდება რელიგიის საკითხებს. რადგან, სახელმწიფო საჯარო მიზნების მისაღწევად ხელმძღვანელობს მხოლოდ სეკულარული პოლიტიკითა და სამართლებრივი მექანიზმებით.

შემთხვევა II: საჯარო სამსახურის თანამშრომელმა, რომლის თანამდებობრივი ვალდებულება მოქალაქეებთან ურთიერთობას ითვალისწინებდა, სამუშაო ადგილზე დემონსტრაციულად განათავსა საკუთარი რელიგიური კუთვნილების გამომხატველი სიმბოლოები და რიტუალური ნივთები. უწყების ხელმძღვანელმა მას აღნიშნული ფაქტის აღმოფხვრისკენ მოუწოდა და სამსახურში რელიგიური სიმბოლოების ტარება აუკრძალა.

ანალიზი: განხილულ შემთხვევაში, დაირღვა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების რამდენიმე პრინციპი:

1. **საჯარო უწყების ხელმძღვანელის მხრიდან დაირღვა საჯარო მოხელის პირადი რელიგიური პრაქტიკის თავისუფლების პრინციპი**, რადგან საჯარო სამსახურში რელიგიური სიმბოლოს ტარება, თუკი ის არ არღვევს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმებს, წარმოადგენს საჯარო მოხელის რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებას.
2. **საჯარო მოხელის მხრიდან დაირღვა საჯარო სამსახურისა და საჯარო მოხელის რელიგიური კუთვნილების გამიჯვნის პრინციპი**, რადგან, საჯარო მოხელემ, რომლის თანამდებობრივი ვალდებულებებიც ითვალისწინებდა მოქალაქეებთან ურთიერთობას, საკუთარ სამუშაო ადგილზე რელიგიური სიმბოლოებისა და რიტუალური ნივთების დემონსტრაციული განთავსებით, სხვა პირთა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევისა, და ამ მხრივ, დისკრიმინაციული გარემოს შექმნის საფრთხე წარმოშვა.

დასკვნა: დაუშვებელია, საჯარო მოხელემ, რომლის თანამდებობრივი ვალდებულებაც ითვალისწინებს მოქალაქეებთან ურთიერთობას, ან რომლის სამუშაო ადგილიც თვალსაჩინოა სხვა თანამშრომლებისთვის, დემონსტრაციულად განათავსოს საკუთარი რელიგიური კუთვნილების გამომხატველი სიმბოლიკა ან რიტუალური ნივთები, და ამ მხრივ, სხვა პირთა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევისა და დისკრიმინაციული გარემოს შექმნის საფრთხე წარმოშვას. ამასთან, საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირი (სტრუქტურული ერთეულის ან/და დაწესებულების ხელმძღვანელი) არ უნდა ზღუდავდეს საკუთარ თანამშრომლებს, ატარონ პირადი რელიგიური სიმბოლიკა, რადგან ამგვარი აკრძალვით იზღუდება მათი რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება.

თავი III. მრავალფეროვნება და შემწყნარებლობა

კონცეფცია

მრავალფეროვნება და შემწყნარებლობა ურთიერთგადაჯაჭვული ცნებებია, რამდენადაც მხოლოდ მათი თანადროული არსებობა ანიჭებს თითოეულ მათგანს საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო პოზიტიურ შინაარსს. მრავალფეროვნება მხოლოდ შემწყნარებლურ გარემოში შეიძლება იქცეს პროგრესულ სიკეთედ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი „განსხვავებულთა“ ურთიერთობა საზოგადოებრივი დაპირისპირების, შუღლისა და ძალადობისთვის ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს.

ტოლერანტობა, როგორც სოციალური ცნება, XVI საუკუნიდან მკვიდრდება ევროპაში და თავდაპირველი გაგებით სწორედ რელიგიურ შემწყნარებლობას გულისხმობს, რაც მოგვიანებით განივრცობა და ზოგადად განსხვავებულის მიმღებლობის დატვირთვას შეიძენს. ტერმინი **ტოლერანტობა** მომდინარეობს ლათინური ძირიდან **tolerantia**, რაც ყოფით მეტყველებაში ნიშნავდა *ატანას, მოთმინებას, დათმენას*. სოციოლოგიური დატვირთვით, რაც ამ ტერმინმა მოგვიანებით შეიძინა, ტოლერანტობა განიმარტა, როგორც განსხვავებული მსოფლმხედველობის, კულტურის, წეს-ჩვეულებების, ჩვენს შემთხვევაში, რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა და შეხედულებების მიღება, შეწყნარება. ქართული სიტყვა **შემწყნარებლობა**, გარკვეული აზრით, არის ტოლერანტობის სინონიმი, თუმცა არის გარკვეული განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის. შემწყნარებლობისგან განსხვავებით (რაც გულისხმობს უცხოის მიღებას, მოთმენას), ტოლერანტობა გულისხმობს სხვა აზრსაც, კერძოდ, აქტიურ სოციალურ ქცევას, რომელსაც ადამიანი ნებაყოფლობით და გააზრებულად ეწევა.

მრავალფეროვნება (პლურალიზმი), თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური გაგებით, არ შემოიფარგლება ერთიან საზოგადოებაში „განსხვავებულ“ სუბიექტთა თანადროული არსებობის ფაქტით, არამედ, მათ შორის ურთიერთაღიარებაზე დაფუძნებულ აქტიურ თანაცხოვრებას გულისხმობს. შესაბამისად, **შემწყნარებლობა (ტოლერანტობა)** არ არის განსხვავებულის მიმართ შეგუების ან დათმენის მხოლოდ პასიური აქტი, არც გულგრილობა სხვა ადამიანის და მისი მსოფლმხედველობის მიმართ, არც საკუთარ მსოფლმხედველობაზე უარის თქმა, არც სხვისი მსოფლმხედველობის ან ცხოვრების წესის პირდაპირ გამიარება, არც, უბრალოდ, სუსტისადმი სულგრძელობის გამოვლენა ან თვალთმაქცობა. მნიშვნელოვანია, რომ შემწყნარებლობა, თავისთავად, არც ნებისმიერი მსოფლმხედველობის ან იდეოლოგიის მიღებასა და გამართლებას გულისხმობს (მაგალითად, იდეოლოგიები, რომლებიც აშკარად ქადაგებენ სოციალური ან სხვა სახის უსამართლობას). არამედ, შემწყნარებლობა გაიგება, როგორც გულწრფელი პატივისცემა სხვისი უფლებისა, ჰქონდეს განსხვავებული მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი. ის გულისხმობს სხვისი მსოფლმხედველობის და ცხოვრების წესის შეძლებისდაგვარ გაგებას და პატივისცემას.

შემწყნარებლობა არის გამოვლინება იმისა, რომ ადამიანი მყარად და გააზრებულად დგას საკუთარ პოზიციაზე (მსოფლმხედველობაზე, რწმენაზე), და ამავე დროს გახსნილია სხვა იდეებისათვის, არ ეშინია საკუთარის თვალთახედვის გაზიარების, სხვასთან შედარების და იდეურ თუ სულიერ კონკურენციაში შესვლის.

შემწყნარებლობა არის ღირებულება, რომელიც გულისხმობს საზოგადოების თითოეული წევრის უფლებას, იყოს განსხვავებული და ამ თვითმყოფადი განსაკუთრებულობით შედიოდეს სამოქალაქო და პოლიტიკურ ურთიერთობებში, სახელმწიფო კი უზრუნველყოფდეს ამ წესრიგის დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. შემწყნარებლობას, მხოლოდ მაშინ აქვს რეალური ძალა და დადებით შედეგი, როდესაც ის საზოგადოების ძირითადი ნაწილის, უმრავლესობის მოთხოვნა და ცნობიერი ღირებულებაა. როდესაც სხვათა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების აქტიური აღიარებით, „განსხვავებულთა“ თვითმყოფადობა საყოველთაო სიკეთის ქმედითი ნაწილი ხდება.

შემწყნარებლობის სამოქალაქო და პოლიტიკური ასპექტები

შემწყნარებლობის კულტურის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სეკულარული ცნობიერების დამკვიდრებამ. სეკულარიზმმა ერთმანეთისგან გამიჯნა სახელმწიფო და რელიგია, რომელთაგან პირველი საერთო სიკეთედ, მეორე კი ინდივიდუალურ მისწრაფებად განისაზღვრა. ამდენად, შეიცვალა დამოკიდებულება რელიგიური მრწამსის მიმართაც. ის აღარ იყო საერთო და ზოგადი, არამედ ინდივიდუალური. თვით რელიგიური თემების შიგნითაც კი, რწმენა და რელიგიური პრაქტიკა შეფასდა პიროვნული საწყისიდან და არა საყოველთაო გააზრებიდან. შესაბამისად, იდეური საფუძველი გამოეცალა დაპირისპირებას ისეთი ნიშნის გამო, რომელიც შეუძლებელია იძულების ფორმით იქცეს საერთო-სავალდებულო სიკეთედ.

ისტორიულად, შემწყნარებლობის ცნების გაჩენა უკავშირდება სწორედ რელიგიურ ურთიერთობებს. რიგი რელიგიური კონფლიქტების, დევნისა და ომების კატასტროფულმა შედეგებმა და მათი გამომწვევი მიზეზების საყოველთაო გაცნობიერებამ წარმოშვა მშვიდობიანი თანაცხოვრების, როგორც ღირებულების დამკვიდრების აუცილებლობა. შედეგად, გაჩნდა განსხვავებულ, უმცირესობათა რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა და შეხედულებების დომინანტ რელიგიურ იდეებთან თანაარსებობა, რამაც შესაძლებელი გახდა იმ მდგომარეობის გადალახვა, როდესაც რელიგიური მრავალფეროვნება წარმოშობდა რეალურ თუ პოტენციურ კონფლიქტებსა და დაპირისპირებას.

რელიგიური შემწყნარებლობა დაკავშირებულია რელიგიური თავისუფლების საკითხთან. შემწყნარებლობის იდეა, არსებითად, იდეოლოგიურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განსხვავებათა გადალახვის ნებიდან მომდინარეობს. ის უნდა დაუპირისპირდეს პოტენციურ კონფლიქტს, სადაც საპირისპირო შეხედულებები ჭეშმარიტების ფლობას იჩემებენ, გაბატონებულია დისკრიმინაციული ხასიათის ცრურწმენები, პოლიტიკური დაპირისპირებანი, ძალაუფლების არათანაბარი განაწილება (უმცირესობათა ჩავგრა) და ა.შ. ყველა ტოტალიტარული ბუნების „გადაწყვეტისაგან“ განსხვავებით, შემწყნარებლობა თანაარსებობისა და მისადაგების მცდელობაა. ამიტომაც არის ის დემოკრატიული თანაარსებობისა და თანამშრომლობის ფუნდამენტური პირობა და სრულიად აუცილებელია საზოგადო სიკეთისათვის.

რელიგიური შემწყნარებლობა, როგორც მშვიდობიანი თანაცხოვრების ფორმა, გულისხმობს ურთიერთობას არა იმდენად რელიგიური რწმენის განზომილებაში, რამდენადაც რელიგიური პრაქტიკის სფეროში. ანუ, შემწყნარებლობა არ მოითხოვს განსხვავებული რელიგიური მსოფლმხედველობის მიღებას, მის აღიარებას საკუთარი მრწამსის ჭეშმარიტების ტოლფარდად, არამედ, სწორედ ამ მიჯნის დაცვით იმგვარი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, სადაც რელიგიური მრწამსი შეგნებულია, როგორც ინდივიდუალური გამოცდილება და შესაბამისად, საჭიროებს სწორედ ინდივიდუალურ ძალისხმევას, რაც მის თავისთავად საყოველთაო სავალდებულო არსს გამოირიცხავს. ამგვარად, განსხვავებული პიროვნული პოზიციებიდან აღიქმება, რაც შეუძლებელია საფრთხის შემცველი იყოს სხვისთვის.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს შემწყნარებლობის საზოგადოებრივი (სამოქალაქო) და პოლიტიკური (სამართლებრივი) ასპექტები. პირველი მათგანი გულისხმობს საზოგადოების ქცევას, რომელიც განსხვავებულის მიმღობასა და შეწყნარებაში, როგორც სოციალურ ღირებულებაში ვლინდება, მეორე კი, იმგვარ სახელმწიფო პოლიტიკას, რომლის დროსაც, ერთი მხრივ, არ იდევნება განსხვავებული, მეორე მხრივ კი, ხელი ეწყობა განსხვავებულთა იდენტობის დაცვასა და თვითმყოფადობის განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო მიმართავს საკუთარ პოლიტიკური მართვის პრაქტიკასა და სამართლებრივ ინსტრუმენტებს, რომელიც შემწყნარებლობის საზოგადოებრივი კულტურის დაცვისა და განვითარების წესრიგს ემსახურება.

სამოქალაქო ურთიერთობებში რელიგიური შემწყნარებლობა თავისუფალ და დიალოგზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ემყარება. ნეიტრალური და მრავალმხრივი ინფორმაცია სხვადასხვა რელიგიების შესახებ, საზოგადოებრივ ცნობიერებას ამაღლებს ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით, საჯარო დისკუსიებითა და რელიგიათა შორის ღია დიალოგის გზით და სპობს სტერეოტიპული შეხედულებებით ნასაზრდოებ შიშებს, გაუცხოებასა და დაპირისპირებას განსხვავებული რელიგიური ჯგუფების მიმართ.

რელიგიური შემწყნარებლობა სახელმწიფო დონეზე, ითხოვს სათანადო ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბებასა და მის მიუკერძოებელ, სამართლიან აღსრულებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო მიერთებული იყოს ყველა იმ საერთაშორისო აქტს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს, მათ შორის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და არადისკრიმინაციულ გარემოს უზრუნველყოფს. სახელმწიფომ არსებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველასთვის, განსაკუთრებით კი რელიგიური უმცირესობებისთვის. საგულისხმოა, რომ რელიგიური შემწყნარებლობა არ მიიღწევა განყენებული ძალისხმევით, არამედ, დამოკიდებულია, ზოგადად, მრავალფეროვნების იდეის პოლიტიკურ დამკვიდრებაზე, რაც პირველ რიგში, სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური პლურალიზმის კულტურაში ვლინდება.

რელიგიური შემწყნარებლობა დემოკრატიული სახელმწიფო მართვის პირობებში მშვიდობიანი თანაცხოვრების პრაგმატულ ამოცანასა და მრავალფეროვნების განვითარების ხელშეწყობას შორის მერყეობს. ნებისმიერ შემთხვევაში, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიულ გარემოში სამოქალაქო და პოლიტიკურ ძალისხმევათა მკვეთრი გამიჯვნა არასწორია. მეტიც, რელიგიური შემწყნარებლობის რეალურად დასამკვიდრებლად, სწორედ ამ უკანასკნელთა ერთობლიობაა საჭირო.

კონსტიტუციური გარანტიები

საქართველოს კონსტიტუცია არ აყალიბებს მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის კონცეფციებს, თუმცა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების დაცვის ფარგლებში არსებითად მოიაზრებს მრავალფეროვნების ღირებულებასა და შემწყნარებლური გარემოს უზრუნველყოფის აუცილებლობას. კონსტიტუცია, უმცირესობების, მათ შორის, რელიგიური უმცირესობების უფლებებს, მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის საჭირო კონსტიტუციური გარანტიების შექმნით იცავს. საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების მიმართ არადისკრიმინაციული მოპყრობის ვალდებულების დადგენით, სახელმწიფოს ავალდებულებს, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებას, მეორე მხრივ კი, უმცირესობისადმი კუთვნილება არ გახდეს დისკრიმინაციის საფუძველი.

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველ-

თაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავის უფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას [საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38].

რელიგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, სახელმწიფოს ვალდებულებები მოიცავს შემწყნარებლური გარემოს დამკვიდრებას, სადაც რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად მიიღებს ყველა იმ საჭირო პოლიტიკურ და სამართლებრივ ზომას, რაც მათ საკუთარი რელიგიური კუთვნილების თავისუფლად გამომჟღავნებასა და შესაბამისი რელიგიური პრაქტიკის განხორციელებაში დაეხმარება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიერ რელიგიური უმცირესობების ხელშესაწყობად გატარებული სპეციალური ღონისძიებები არ შეიძლება განიხილებოდეს, დისკრიმინაციად უმრავლესობის მიმართ, არამედ, როგორც საშუალება, რომელიც ემსახურება მათ შორის უფლებრივი თანასწორობის დამკვიდრებისა და დაცვის მიზანს.

კონსტიტუციით გარანტირებული უმცირესობების უფლებები არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი თვითმყოფადობის შენარჩუნების პასიური ვალდებულებით ან ამ თვითმყოფადობის განვითარებისთვის საჭირო სპეციალური საშუალებების არსებობით. უპირველეს ყოვლისა, რელიგიური უმცირესობებისთვის (ისევე, როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული სხვა უმცირესობათა ჯგუფებისთვის) სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა იმ საყოველთაო უფლებითა და თავისუფლებით თანასწორად სარგებლობის შესაძლებლობა, რომელიც კონსტიტუციითაა განსაზღვრული, იქნება ეს გაერთიანების უფლება, გამოხატვის თავისუფლება, საკუთრების უფლება, განათლების უფლება თუ სხვა სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ის სპეციალური ღონისძიებები, რომელიც უნდა გაატაროს სახელმწიფომ რელიგიური უმცირესობების დაცვისა და მრავალფეროვნების განვითარების მიზნით: რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარების ხელშეწყობა, დომინანტ რელიგიურ ჯგუფთან ასიმილაციისგან დაცვა, ინტერრელიგიური დიალოგის ხელშეწყობა, დისკრიმინაციისგან დაცვა, რელიგიური უმცირესობების ცნობადობის ზრდისა და შემწყნარებლური ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შემწყნარებლური ქცევა. დაუშვებელია საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირი (სტრუქტურული ერთეული ან/და დაწესებულების ხელმძღვანელი) საკუთარ თანამშრომლებთან ურთიერთობისას, მათ მიმართ, განსხვავებული რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო, ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდეს, ან უარყოფითად მოიხსენიებდეს მათ რელიგიურ მსოფლმხედველობას, მით უმეტეს, იყენებდეს სიძულვილის ენას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამით წახალისდება არაშემწყნარებლური გარემო საჯარო სამსახურში და წარმოიშობა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საფრთხე. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, ვალდებულია, თუ ეს აუცილებლობით არ არის განპირობებული, არ მიუთითოს თანამშრომლის განსხვავებულ რელიგიურ კუთვნილებაზე, პრაქტიკასა თუ შეხედულებებზე. საჭიროების შემთხვევაში მანვე უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ თანამშრომელს შეეძლოს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი რელიგიური მსოფლმხედველობა, ასევე, აღმოფხვრას თანამშრომელთა შორის არაშემწყნარებლური დამოკიდებულებები და ხელი შეუწყოს რელიგიური მრავალფეროვნების პოზიტიურ წარმოჩენას.

საჯარო მოხელის შემწყნარებლური ქცევა. დაუშვებელია, საჯარო მოხელე მოქალაქესთან (მოქალაქეთა ჯგუფთან) ურთიერთობისას, მის მიმართ, განსხვავებული რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო, ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდეს, უარყოფითად მოიხსენიებდეს მის რელიგიურ მსოფლმხედველობას, მით უმეტეს, იყენებდეს სიძულვილის ენას, რადგან ასეთი ქმედება სახელმწიფოს მხრიდან არაშემწყნარებლური გარემოს წახალისებად შეფასდება და რელიგიური ნიშნით მოქალაქის (მოქალაქეთა ჯგუფის) მიმართ დისკრიმინაციის რეალურ საფრთხეს შექმნის. საჯარო მოხელე ვალდებულია, თუ ეს აუცილებლობით არ არის განპირობებული, არ მიუთითოს მოქალაქის (მოქალაქეთა ჯგუფის) განსხვავებულ რელიგიურ კუთვნილებაზე, პრაქტიკასა თუ შეხედულებებზე, საჭიროების შემთხვევაში კი უზრუნველყოს, რომ მას თავისუფლად შეეძლოს საკუთარი რელიგიური მსოფლმხედველობის გამოხატვა.

რელიგიური უმცირესობებისთვის გარანტირებული სპეციალური საშუალებებითა და საყოველთაო უფლებებით დაუბრკოლებელი და სრულყოფილი სარგებლობის უზრუნველყოფა. საჯარო მოხელე ვალდებულია, საკუთარი თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, ამომწურავი ინფორმაცია მოაწოდოს რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებულ მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფს ყველა იმ სპეციალური საშუალების შესახებ, რომელიც სახელმწიფოს მათი რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვისთვის აქვს განსაზღვრული. ასევე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოს, რომ რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებულმა მოქალაქეებმა და ჯგუფებმა დაუბრ-

კოლებლად ისარგებლონ კანონმდებლობით გათვალისწინებული საყოველთაო უფლებებითა და თავისუფლებებით.

სახელმწიფო, შემწყნარებლური გარემოს დასამკვიდრებლად და რელიგიური მრავალფეროვნების განვითარების ხელშესაწყობად, შესაძლოა ქმნიდეს ინტერრელიგიური დიალოგისა და სხვადასხვა აქტივობების ფორმატებს, რაც წაახალისებს სხვადასხვა რელიგიებს შორის მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამ გზით სახელმწიფო შეძლებს თავიდან აირიდოს რელიგიური შინაარსის კონფლიქტები და რელიგიური მრავალფეროვნების კულტურულ-სადმი პატივისცემის დამკვიდრებასაც შეუწყოს ხელი. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული საჯარო მოხელე, რომელიც საკუთარი თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში ჩართულია მსგავს საქმიანობაში, მყარად აცნობიერებდეს საზოგადოების რელიგიური მრავალფეროვნებისა და განსხვავებულთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების სიკეთეს, როგორც დემოკრატიულ ღირებულებას, იმ პოზიტიურ თუ ნეგატიურ ვალდებულებებს, რაც სახელმწიფოს ამ მხრივ გააჩნია და შესაბამისად, საკუთარ პასუხისმგებლობას მათ შესრულებაში.

შემთხვევათა ანალიზი

შემთხვევა I: ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანომ, მისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური უმცირესობების შესახებ ცნობადობის გასაზრდელად და საზოგადოებაში შემწყნარებლური ცნობიერების ასამაღლებლად, თითოეული ასეთი ჯგუფისთვის მათი რომელიმე რელიგიური დღესასწაულის საზეიმო აღნიშვნის ორგანიზების შეთავაზება გადაწყვიტა. ეს მოიცავდა საჯარო ცერემონიებს და სხვა სახის აქტივობებს. ამ მიზნით, საჯარო უწყების ხელმძღვანელმა შესაბამის თანამშრომლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური უმცირესობების ჯგუფებისთვის მოცემული პროექტის გაცნობა და ღონისძიებების ორგანიზებაში ხელის შეწყობა დაავალა. ერთ-ერთი საჯარო მოხელე, რომელიც ფლობდა ამომწურავ ინფორმაციას ამ ჯგუფების შესახებ, მართლაც შეხვდა ზოგიერთ მათგანს, თუმცა პროექტის რეალური არსი არ განუმარტავს.

ანალიზი: განხილულ შემთხვევაში, საჯარო მოხელემ დაარღვია მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის განვითარების ხელშეწყობის პრინციპი:

1. დაირღვა რელიგიური უმცირესობებისთვის გარანტირებული სპეციალური საშუალებებითა და საყოველთაო უფლებებით დაუბრკოლებელი და სრულყოფილი სარგებლობის უზრუნველყოფის პრინციპი, რადგან, საჯარო მოხელეს კარგად არ

ჰქონია გაცნობიერებული პროექტის მნიშვნელობა და მის შესახებ ყველა დაინტერესებული ჯგუფისთვის არ უცნობებია, შესაბამისად, მათ, ვინც ამ პროექტის შესახებ ვერ მიიღო ინფორმაცია, შეეზღუდათ სახელმწიფოს მიერ რელიგიური უმცირესობებისთვის გარანტირებული სპეციალური საშუალებებით დაუბრკოლებელი სარგებლობა. ამასთან, იმ ჯგუფებს, რომლებსაც მოუთხორო პროექტის შესახებ, სათანადოდ არ განუმარტა მისი მნიშვნელობა. შესაბამისად, მათ შეეზღუდათ ამ საშუალებით სრულყოფილი სარგებლობის შესაძლებლობა.

2. **წარმოიშვა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საფრთხე**, რადგან საჯარო მოხელემ გაუმართლებლად შეზღუდა იმ პირთა წრე, ვინც სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რელიგიური უმცირესობებისთვის გარანტირებული სპეციალური საშუალებებით პოტენციურ მოსარგებლეს წარმოადგენდა.

დასკვნა: დაუშვებელია საჯარო მოხელე საკუთარი გულგრილობით ან მიზანმიმართული მოქმედებით რელიგიურ უმცირესობებს უსპობდეს ან უზღუდავდეს მათი თვითმყოფადობის წარმოჩენის, შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე, საზოგადოებაში რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სპეციალური საშუალებებით დაუბრკოლებელი და სრულყოფილი სარგებლობის უფლებას.

შემთხვევა II: ერთ-ერთი საჯარო უწყების ხელმძღვანელი, რომელმაც იცოდა საკუთარი თანამშრომლის განსხვავებული რელიგიური კუთვნილების შესახებ, პერიოდულად მოიხსენიებდა მას, როგორც „სექტანტს“, ხოლო იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ შესამჩნევი რელიგიურობით, იყენებდა ეპითეტს – „ათეისტი“ და ამგვარად მიანიშნებდა მათი რელიგიური შეხედულებების მიუღებლობაზე. ერთ-ერთ თათბირზე, საჯარო უწყების ხელმძღვანელმა შესაბამისი თანამშრომლები პირდაპირ მოიხსენია „სექტანტებად“ და „ათეისტებად“ და აღნიშნა, რომ მათი მსოფლმხედველობა ეწინააღმდეგება ტრადიციებს და არ შეიძლება ის მისაღები იყოს სხვა თანამშრომლებისთვის. შედეგად, ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელსაც ასევე განსხვავებული რელიგიური შეხედულებები ჰქონდა, გადაწყვიტა არ გამოემულავნებინა ისინი, რათა მსგავსი შეფასება არ დაემსახურებინა.

ანალიზი: განხილულ შემთხვევაში, საჯარო მოხელემ დაარღვია საჯარო სამსახურში შემწყნარებლური ქცევის პრინციპი:

1. **დაირღვა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შემწყნარებლური ქცევის პრინციპი**, რადგან, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა საკუთარ თანამშრომლებთან ურთიერთობისას, მათი რელიგიური მსოფლმხედველობის უარყოფითად მოხსენიებით, გამოამულავნა ნეგატიური დამოკიდებულება მათი განსხვავებული

რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების მიმართ. ასევე, გამოიყენა სიძულვილის ენა, რადგან ტერმინები „სექტანტი“ და „ათეისტი“ მოიხსენია უარყოფით კონტექსტში. ამით მან წაახალისა არაშემწყნარებლური დამოკიდებულებები საჯარო სამსახურში, რამაც წარმოშვა საფრთხე, რომ ამ უწყებაში მომუშავე საჯარო მოხელეები ამგვარივე უარყოფითი დამოკიდებულებებით მიუდგებოდნენ განსხვავებული რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა თუ შეხედულებების მოქალაქეებსა და რელიგიურ ჯგუფებს.

2. **წარმოიშვა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საფრთხე**, რადგან საჯარო მოხელეებს, რომელთაც ჰქონდათ განსხვავებული რელიგიური მრწამსი, პრაქტიკა და შეხედულებები, შეეზღუდათ საკუთარი მსოფლმხედველობის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა და საჯარო სამსახურში, თანამშრომელთა შორის არაშემწყნარებლური გარემო შეიქმნა.

დასკვნა: დაუშვებელია საჯარო მოხელე საკუთარი მოქმედებით ან სიტყვიერი შეფასებებით საჯარო სამსახურში ნერგავდეს არაშემწყნარებლურ დამოკიდებულებებსა და სიძულვილის ენას განსხვავებული რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების პირთა მიმართ, ხელს უშლიდეს მათ საკუთარი რელიგიური მსოფლმხედველობის თავისუფლად გამოხატვაში და ამ მხრივ დისკრიმინაციულ გარემოს ქმნიდეს საჯარო სამსახურში.

თავი IV. კანონის წინაშე თანასწორობა და არადისკრიმინაციული გარემო

კონცეფცია

საზოგადოებისთვის ბუნებრივად დამახასიათებელი **განსხვავებულობა** თავისთავად არ შეიძლება შეფასდეს, როგორც დადებითი ან უარყოფითი გარემოება. სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული სოციალური, სამართლებრივი ან პოლიტიკური წესრიგის პირობებში იქცევა განსხვავებულობა **მრავალფეროვნებად** ან **უთანასწორობად**. თანამედროვე დემოკრატიის პირობებში, განსხვავებული რელიგიური მსოფლმხედველობები ქმნიან მრავალფეროვან საზოგადოებრივ და კულტურულ გარემოს, რომელშიც ჩართულია თითოეული მათგანი და საკუთარი თვითმყოფადობის დაცვით, საერთო სიკეთების შექმნაში მონაწილეობს. სახელმწიფო ვალდებულია, სწორედ ამგვარ გარემოს შეუწყოს ხელი, რომელშიც ფორმალური თანასწორობის მისაღწევად კი არ იშლება განსხვავებები, არამედ, აღმოიფხვრება დისკრიმინაციულად უთანასწორო მოპყრობა, ხოლო მათი სათანადო წარმოჩენითა და დაცვით მრავალფეროვნების პოზიტიური კულტურა იქმნება.

თანასწორობა და არადისკრიმინაციული გარემო, სახელმწიფოსთვის თვისობრივ სამართლებრივ-პოლიტიკურ ასპექტში, გულისხმობს იმგვარი საკანონმდებლო გარანტიებისა და პოლიტიკური პრაქტიკის უზრუნველყოფას, რომელიც ერთი მხრივ შესაძლებელს გახდის მოქალაქეებმა თანასწორად და დაუბრკოლებლად ისარგებლონ ყველა უფლებრივი სიკეთითა და დაცვის სამართლებრივი საშუალებით, მეორე მხრივ კი, ამ შესაძლებლობის შემზღუდავ ან მომსპობ ნებისმიერ გარემოებას აღმოფხვრის.

თანასწორობა, როგორც სამართლებრივ-პოლიტიკური კონცეფცია, აუცილებლად მოიაზრებს მოქალაქეთა თანასწორობას **კანონის წინაშე**. ეს არის მდგომარეობა, როცა სახელმწიფო ქმნის სათანადო კანონმდებლობას, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და უზრუნველყოფს ამ სიკეთებზე თანაბარ წვდომას. კანონის წინაშე თანასწორობა არ გაიგივდება მოქალაქეთა ფაქტობრივ თანასწორობასთან ნებისმიერ სფეროში. ამ მხრივ, სახელმწიფო შესაძლოა ქმნიდეს ცალკეულ პოზიტიურ გარემოებებს, მაგრამ ეს არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სახელმწიფოს სამართლებრივ-პოლიტიკური ვალდებულება.

რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების ნიშნით **დისკრიმინაცია**, გულისხმობს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხავს შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად იწვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორად აღიარებისა და სარგებლობის მოსპობას ან შეზღუდვას.

შესაბამისად, დისკრიმინაცია განიმარტება, როგორც არა ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა (განსხვავება, გამოორიციხვა, შეზღუდვა, უპირატესობის მინიჭება), არამედ განსხვავებული მოპყრობა, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად იწვევს კანონის წინაშე ადამიანთა უფლებრივი თანასწორობის დარღვევას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორად აღიარებისა და სარგებლობის მოსპობა ან შეზღუდვა). მხოლოდ ამ ორი ფაქტორის თანადროული არსებობა წარმოშობს დისკრიმინაციას.

მნიშვნელოვანია, რომ კანონის წინაშე უფლებრივი თანასწორობა არ უნდა გაუტოლდეს ყველა ადამიანის (მოქალაქის) მიმართ იდენტურ მოპყრობას. რადგან, ნებისმიერ შემთხვევაში, იდენტური მოპყრობა, არათუ პირდაპირი გაგებით სავალდებულო ხასიათის მატარებელი არ არის, არამედ, შესაძლოა, მსგავსმა დამოკიდებულებამ თავად გამოიწვიოს იმ პირთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, ვისაც განსხვავებული შესაძლებლობების გამო იდენტური მოპყრობის პირობებში საერთო უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა არ შეუძლია. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფოს, მათ შორის, „სპეციალური ღონისძიებების“ ჩათვლით, წარმოეშობა **არადისკრიმინაციული**, პოზიტიური ვალდებულებები, უზრუნველყოს თანასწორთა მიმართ თანაბარი მოპყრობა, ხოლო განსხვავებულთათვის განსხვავებულ შესაძლებლობებზე წვდომა და **ანტიდისკრიმინაციული**, ნეგატიური ვალდებულებები, რომელიც მოიცავს გაუმართლებელი და უსაფუძვლო დიფერენციული (უფლებრივად შემზღუდავი ან გამომრიცხავი) ან პრეფერენციული (უფლებრივად წამახალისებელი ან უპირატესობის მიმნიჭებელი) მოპყრობის აღმოფხვრას, სათანადო სამართლებრივი და პოლიტიკური საშუალებებით.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიან სივრცეში დისკრიმინაციად შეფასდება ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა პერსონალურ ასპექტში, რადგან ასეთ შემთხვევაში უფლებრივი სიკეთებისადმი არათანაბარი წვდომა გამომდინარეობს პირის რელიგიური მრწამსიდან, პრაქტიკიდან ან შეხედულებებიდან, რაც ადამიანის ღირსების შემლახავი ქმედებაა. რაც შეეხება ინსტიტუციურ ასპექტს, განსხვავებული ობიექტური მახასიათებლების მქონე რელიგიური გაერთიანებების მიმართ განსხვავებული და მრავალფეროვანი სამართლებრივი სტატუსების უზრუნველყოფა სახელმწიფოს პირდაპირი პოზიტიური ვალდებულებაა. ამ მხრივ, ერთნაირად წარმოადგენს დისკრიმინაციას, როგორც თანაბარი შესაძლებლობების მქონე სუბიექტთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა, ისე, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე სუბიექტთა მიმართ მრავალფეროვანი ურთერთობების არარსებობა.

ამგვარად, კანონის წინაშე თანასწორობა და არადისკრიმინაციული გარემო, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის შემადგენელი, ეფუძნება **სამართლიანობის პრინციპს**, რომლის თანახმადაც, მოპყრობის დისკრიმინაციულობის შესაფასებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მის ფორმას, არამედ, ეფექტს, ანუ

რამდენად იძლევა თანაბარი თუ განსხვავებული მოპყრობა არსებულ სიკეთეზე თანასწორი წვდომისა და ამ სიკეთით თანასწორი სარგებლობის შესაძლებლობას.

კონსტიტუციური გარანტიები

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი აცალიბებს რელიგიური ნიშნის მიუხედავად **კანონის წინაშე თანასწორობის** კონსტიტუციურ გარანტიებს და 38-ე მუხლთან ერთობლიობაში სახელმწიფოს წინაშე **არადისკრიმინაციული გარემოს** უზრუნველყოფის ვალდებულებას წარმოშობს.

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა [საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14].

წინამდებარე კონსტიტუციური ნორმა კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობას იცავს მათი განსაკუთრებული მსოფლმხედველური (რელიგიური, პოლიტიკური და სხვა შეხედულებები), ბუნებრივი (რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება) თუ ობიექტური (სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილის) ნიშნების მიუხედავად. მნიშვნელოვანია, რომ ნორმის არსი ერთმანეთთან აიგივებს ისეთ ნიშნებს, რომელთაგან ერთი თანდაყოლილი ან ობიექტური მდგომარეობაა, სხვა კი სუბიექტური არჩევანის შედეგი და ამ მხრივ, მათ თანაბარ ღირსებაზე მიუთითებს. სამართლებრივი შინაარსით, მოცემული ნორმა გამოირცხავს რაიმე სახის უფლებრივ უთანასწორობას ადამიანთა შორის მათი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო და სახელმწიფოს წინაშე შესაბამის პოზიტიურ თუ ნეგატიურ ვალდებულებებს წარმოშობს.

კანონის წინაშე თანასწორობისა და არადისკრიმინაციული გარემოს უზრუნველყოფისთვის სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი კანონმდებლობა, მათ შორის, პროცესუალური ნორმები და ადმინისტრაციული პრაქტიკა და უზრუნველყოს მათზე მოქალაქეთა დაუბრკოლებელი წვდომა. გარდა ამისა, სახელმწიფოს კანონმდებლობა და პოლიტიკა უნდა მოიცავდეს საჭირო ანტიდისკრიმინაციულ ზომებსა და ღონისძიებებს, რომელიც მოქალაქეებსა და რელიგიურ ჯგუფებს მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად დარღვეული უფლებების აღდგენის საშუალებას მისცემს.

სათანადო კანონმდებლობის არსებობასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ კანონმდებლობის განუხრელი აღსრულება, რადგან, ხშირ შემთხვევაში, დისკრიმინაციული მოპყრობა სწორედ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი წესრიგიდან გადახვევის შედეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლი კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ პოზიტიური ფორმულირებით შემოიფარგლება და ადგენს თანასწორობას სხვადასხვა, მათ შორის, რელიგიის ნიშნის მიუხედავად, ის თავისი არსით ატარებს ამკრძალავ შინაარსსაც, რაც ამ თანასწორობის დარღვევის წინააღმდეგაა მიმართული. კონსტიტუციის 38-ე მუხლი კი, რომელთან ერთიან კონტექსტშიც უნდა განვიხილოთ კანონის წინაშე თანასწორობისა და არადისკრიმინაციული გარემოს კონსტიტუციური გარანტიები, პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს თანასწორობა ვრცელდება *სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე*. შესაბამისად, კონსტიტუცია ადგენს, რომ არ შეიძლება რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო დისკრიმინაციულმა მოპყრობამ შეზღუდოს ან მოსპოს ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული სამოქალაქო, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური თუ ეკონომიკური უფლებებით თავისუფალი და თანასწორი სარგებლობის შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები, ამ მხრივ, ვრცელდება არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო ურთიერთობებზეც.

სწორედ **კანონის წინაშე თანასწორობა და არადისკრიმინაციული გარემო** უზრუნველყოფს რელიგიური მრწამსის ან პრაქტიკის თავისუფალ არჩევანსა და პირადი რელიგიური შეხედულებების თავისუფალ გამოხატვას, რაც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ქვაკუთხედი, და ურომლისოდაც ეს უფლება, უბრალოდ, არ იარსებებდა.

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (2014 წელი)

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ფართოდ განმარტავს **კანონის წინაშე თანასწორობისა და არადისკრიმინაციული გარემოს** ზოგად არსს. მისი მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა, მათ შორის რელიგიისა და რწმენის ნიშნის მიუხედავად (მუხლი 1.). ამასთან, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე

ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონს (მუხლი 3.).

კანონი განმარტავს დისკრიმინაციული მოპყრობის ორივე ფორმას, რაც გამოიხატება პირის, ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში, ან არსებითად, უთანასწორო პირობებში მყოფ პირთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებით. კანონის მიზნებისთვის დისკრიმინაცია შეიძლება იყოს **პირდაპირი**, როდესაც სახეზეა ისეთი მოპყრობა ან პირობები, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, რელიგიის ან რწმენის ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. **ირიბი** დისკრიმინაციაა, როდესაც იმავე მდგომარეობას იწვევს ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა. ნებისმიერ შემთხვევაში, გამონაკლისს წარმოადგენს გარემოება, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად (მუხლი 2.2. და 2.3.).

კანონი ასევე განმარტავს, რომ განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ის ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა (მუხლი 2.6.). ამაში იგულისხმება, რომ დისკრიმინაციისთვის არსებითია, მოპყრობა იყოს მკაფიოდ გააზრებული და მისი განმახორციელებელი პირდაპირ უკავშირებდეს ამ მოპყრობას პირის რელიგიურ მრწამსს, პრაქტიკას ან შეხედულებებს, რომელიც მისი აზრით ამ უკანასკნელს აქვს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისი წარმოდგენა მცდარი იყოს.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის კიდევ ერთი სპეციფიკა, კერძოდ, **ასოციაციითი დისკრიმინაცია**, რაც ისეთ შემთხვევებს მოიცავს, როდესაც პირის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა გამომდინარეობს კონკრეტულ რელიგიურ მრწამსთან, პრაქტიკასთან ან შეხედულებებთან არა მისი პირადი კავშირის, არამედ ასეთი კავშირის მქონე პირთან (მაგ., მშობელთან, შვილთან, მეუღლესთან და სხვ.) მისი ასოციაციებიდან.

მნიშვნელოვანია კანონის ინტერპრეტაციის ზღვარი, რომელიც რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში სახელმწიფოს დაუშვებელი ჩარევისგან დაცვის გარანტიებს ადგენს. კანონის თანახმად, მისი არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რელიგიური გაერთიანებისათვის რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინა-

რე უფლებების შეზღუდვას, იმ პირობით, რომ ამ უფლებებით სარგებლობა არ ხელყოფს საჯარო წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და სხვათა უფლებებს (მუხლი 5.1.). ამ მხრივ, მნიშვნელოვანია რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობის პრინციპი. ეს პრინციპი, როგორც დაცული სიკეთე, ამგვარ ორგანიზაციებს უფლებას აძლევს, საკუთარი წევრებისა და მსახურების (თანამშრომლების) მიმართ დააწესოს ცალკეული მოთხოვნები ან შეზღუდვები (მაგალითად, რელიგიური კუთვნილება, სქესი, ასაკობრივი ცენზი და ა.შ.), რაც, სხვა შემთხვევაში, დისკრიმინაციული იქნებოდა.

კანონის ინტერპრეტაციის ზღვარი ასევე გულისხმობს, რომ ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებას (მუხლი 5.2.) ან არარად აქცევდეს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე უფლებას ან თავისუფლებას ან ზღუდავდეს მას იმაზე მეტად, ვიდრე ეს თვით ამ ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული (მუხლი 5.5.).

ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებებისა და ზომების ერთობლიობა, რომელიც ამ კანონით არის განსაზღვრული, ნებისმიერი სუბიექტისთვის (დაწესებულებისთვის) მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა საკუთარი საქმიანობის, სამართლებრივი აქტებისა და შიდა რეგულაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ კანონთან და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა; სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება; დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრება მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირზე და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრის უზრუნველყოფა, მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

კანონის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამ მიზნით იგი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დისკრიმინაციის ფაქტის აღმოფხვრისა და უფლებრივი მდგომარეობის აღდგენისთვის გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ამასთან, კანონი არ გამოიციხავს უფლებას, დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევაში, პირმა საქართველოს სახალხო დამცველის ნაცვლად პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, მეტიც, ასეთ შემთხვევაში, სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას.

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, წარმოადგენს მაღალი ღირებულებისა და მნიშვნელობის მატარებელ სამართლებრივ ინსტრუ-

მენტს, რომლის მიზანია თანასწორობისა და არადისკრიმინაციული გარემოს დამკვიდრება და მოიცავს აუცილებელ ანტიდისკრიმინაციულ ღონისძიებებსა და ზომებს.

საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა

კანონის წინაშე თანასწორობა და არადისკრიმინაციული გარემო საჯარო სამსახურში. დაუშვებელია დისკრიმინაციული მოპყრობა საჯარო მოხელის რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო, საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირის (უშუალო ხელმძღვანელის, სტრუქტურული ერთეულის ან/და დაწესებულების ხელმძღვანელის), ისევე, როგორც ნებისმიერი საჯარო მოხელის მხრიდან. ასევე, დაუშვებელია დისკრიმინაციული მოპყრობა ან დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემუშავება პირის საჯარო სამსახურში მიღებისას ან დასაქმებული საჯარო მოხელის კვალიფიკაციის შეფასებისას.

საჯარო მოხელის არადისკრიმინაციული ქცევა მოქალაქეთა მიმართ. დაუშვებელია საჯარო მოხელე საკუთარი ქცევით, გადაწყვეტილებით ან სხვა ფორმით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდეს მოქალაქეს (მოქალაქეთა ჯგუფს) მისი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საჯარო მოხელემ უზრუნველყოს, რომ ნებისმიერმა რელიგიურმა ჯგუფმა დაუბრკოლებლად ისარგებლოს მისთვის კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებითა და დაცვის საშუალებით, ასევე, სრულყოფილად მონაწილეობდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ „სპეციალურ ღონისძიებებში“.

ანტიდისკრიმინაციული ზომები საჯარო სამსახურში. საჯარო მოხელე, განსაკუთრებით კი საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირი (უშუალო ხელმძღვანელი, სტრუქტურული ერთეულის ან/და დაწესებულების ხელმძღვანელი), ვალდებულია საჯარო სამსახურში აღმოფხვრას რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა საფუძველი და წამახალისებელი გარემოება, ხოლო, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, საკუთარი თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება დისკრიმინაციის ფაქტის აღმოსაფხვრელად და დარღვეული უფლებების აღსადგენ.

საჯარო სამსახური არის კანონის წინაშე თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობების სივრცე, სადაც საჯარო მოხელე საკუთარ თანამდებობრივ ვალდებულებებს ასრულებს კანონით დადგენილი წესით და საკუთარი ქცევით, გადაწყვეტილებით ან სხვა ფორმით არ ქმნის ან ახალისებს დისკრიმინაციულ მოპყრობას სხვა საჯარო მოხელის

ან მოქალაქის მიმართ, მათი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო. სახელწმიფო, როგორც მთლიან საზოგადოებაში კანონის წინაშე თანასწორობის დამკვიდრებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტი, ვალდებულია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდეს საკუთარ სტრუქტურებში არადისკრიმინაციული გარემოს შექმნასა და განვითარებას, რათა თითოეული საჯარო მოხელე მკაფიოდ აღიქვამდეს კანონის წინაშე თანასწორობის სიკეთეს, როგორც პირად გამოცდილებას და ცნობიერად იცავდეს მას მოქალაქეებთან (მოქალაქეთა ჯგუფებთან) საკუთარი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.

შემთხვევათა ანალიზი

შემთხვევა I: ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანომ ერთ-ერთ საჯარო თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. საკონკურსო პირობების დაკმაყოფილების შემდეგ შესაბამისი კანდიდატებთან გამართულ გასაუბრებაზე, რომელსაც დაწესებულების სხვა თანამშრომლებიც ესწრებოდნენ, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა კანდიდატებისგან მოითხოვა ინფორმაცია მათი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა და შეხედულებების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდეგ მან გადაწყვიტა, კანდიდატებიდან გამოერიცხა პირები, რომელთაც „არატრადიციული“ რელიგიური მრწამსი ჰქონდათ. გადაწყვეტილების საფუძვლად კი სამსახურში განსხვავებული რელიგიური შეხედულებების მიუღებლობა დაასახელა და აღნიშნა, რომ ამის გამოსასწორებლად ის სათანადო ღონისძიებებს გაატარებდა საჯარო დაწესებულების სხვა თანამშრომლების მიმართაც.

ანალიზი: განხილულ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა დაარღვია კანონის წინაშე თანასწორობისა და საჯარო სამსახურში არადისკრიმინაციული გარემოს დაცვის რამდენიმე პრინციპი:

1. **დაირღვა კანონის წინაშე თანასწორობისა და საჯარო სამსახურში არადისკრიმინაციული გარემოს დაცვის პრინციპი**, რადგან, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა პირის საჯარო სამსახურში მიღებისას იხელმძღვანელა დისკრიმინაციული კრიტერიუმით.
2. **ასევე, დაირღვა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება** კონკურსში მონაწილე პირის მიმართ, რადგან, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა მოითხოვა მისი რელიგიური მრწამსის შესახებ ინფორმაციის სავალდებულო გაცხადება;
3. **წარმოიშვა საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საფრთხე**, რადგან საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა და მათ მიმართ იმგვარი ღონისძიებების გატარების შესახებ, რომელიც დისკრიმი-

ნაციულ მდგომარეობაში ჩააყენებდა განსხვავებული რელიგიური შეხედულებების საჯარო მოხელეებს.

4. **წახალის და დისკრიმინაციული გარემო საჯარო სამსახურში**, რადგან საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა დისკრიმინაციული მოპყრობა გამოიყენა საკუთარი თანამშრომლების თანდასწრებით და მას ერთგვარი სავალდებულო პრაქტიკის ფორმა მიანიჭა.

დასკვნა: დაუშვებელია საჯარო სამსახურში მიღება და საქმიანობა ემყარებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, რომელიც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს საჯარო თანამდებობის დაკავების მსურველს ან დასაქმებულ საჯარო მოხელეს. მსგავსი პრაქტიკა ახალისებს დისკრიმინაციულ გარემოს საჯარო სამსახურში და არღვევს კანონის წინარე თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს.

შემთხვევა II: ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს თანამშრომელმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საჭიროებების აღრიცხვა, შემდგომში მათ აღმოსაფხვრელად სპეციალური ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, შესაბამისი სია შეადგინა. მაგრამ სიის შედგენისას, საკუთარი შეხედულებით მხოლოდ ის პირები შეარჩია, რომელთაც მისთვის მისაღები რელიგიური მრწამსი, პრაქტიკა ან შეხედულებები ჰქონდათ, განსხვავებული რელიგიური მსოფლმხედველობის პირები კი გამორიცხა. შესაბამისი სპეციალური ღონისძიებების განხორციელების შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელს მიმართეს მოქალაქეებმა, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, რის გამოც მოესპოთ შესაბამისი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. დაწესებულების ხელმძღვანელმა მათ აცნობა, რომ პროექტი დასრულებული იყო და რაიმე სახის ზომების მიღება მათი მდგომარეობის გამოსასწორებლად შეუძლებელი იქნებოდა.

ანალიზი: განხილულ შემთხვევაში, საჯარო მოხელემ და საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა დაარღვიეს კანონის წინაშე თანასწორობისა და არადისკრიმინაციული გარემოს დაცვის რამდენიმე პრინციპი:

1. **დაირღვა მოქალაქეთა მიმართ საჯარო მოხელის არადისკრიმინაციული ქცევის პრინციპი**, რადგან, საჯარო მოხელემ საკუთარი ქცევითა და გადაწყვეტილებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა მოქალაქეები მათი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა და შეხედულებების გამო, რამაც მათ მოუსპო შესაბამისი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.
2. **დაირღვა საჯარო სამსახურში ანტიდისკრიმინაციული ზომების მიღების პრინციპი**, რადგან საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა

დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, მის აღმოსაფხვრელად და დარღვეული უფლებების აღსადგენად, ზომები არ მიუღია.

დასკვნა: დაუშვებელია საჯარო მოხელე, საკუთარი თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებისას, სარგებლობდეს პირადი შეხედულებებით და იღებდეს იმგვარ გადაწყვეტილებებს, რომელიც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს მოქალაქეს (მოქალაქეთა ჯგუფს) მათი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო. ამგვარი გარემოების აღმოჩენისას საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს წარმოეშვება ამ ფაქტის აღმოფხვრისა და დარღვეული უფლებების აღდგენის ვალდებულება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ამკვიდრებს დისკრიმინაციულ გარემოს საზოგადოებაში და არღვევს კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს.

დანართი: ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია (1995 წელი)

მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.
2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

- საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

კონსტიტუციური შეთანხმება
საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო
ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის
(2002 წელი)

- საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ;
- საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა, საპატრიარქო კათედრებია, აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა;
- მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;
- საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;
- საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად:

საქართველოს სახელმწიფო (შემდგომში სახელმწიფო), წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტით და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში ეკლესია), წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქით, დებენ კონსტიტუციურ შეთანხმებას (შემდგომში შეთანხმება):

მუხლი 1

- სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთ-დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.
- სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით); ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.
5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.
6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

მუხლი 2

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

მუხლი 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

მუხლი 4

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.
2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.
3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.
2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცე-

მულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
2. ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.
4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.
5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.
6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინი განლაგებული.
2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

მუხლი 8

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).
2. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიკვიების გარდა).

მუხლი 9

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვასა და მოვლა-პატრონობისათვის.
2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

მუხლი 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90).
2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემის და სხვა დეტალების დასადგენად პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

მუხლი 12

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექსტისა და ტერმინთა განმარტებისაგან.
2. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით.
3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.
4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (გამართ. 1948 წელი)

მუხლი 18

ყველას აქვს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება; ეს მოიცავს პირის უფლებას შეიცვალოს რელიგია ან რწმენა და თავისუფლებას მართო ან სხვებთან ერთად საჯაროდ ან კერძოდ გამოხატოს თავისი რელიგია სწავლების, ღვთისმსახურების, თავყვანისცემის და რელიგიური წესების დაცვის გზით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ევროპოკონვენცია. 1950 წელი)

მუხლი 9. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.
2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შემზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (გამართ. 1966 წელი)

მუხლი 18

1. ყველას უნდა ჰქონდეს აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს პირადი არჩევნის საფუძველზე ჰქონდეს ან მიიღოს რწმენა და თავისუფლებას მართო ან სხვებთან ერთად საჯაროდ ან ჭერქვეშ გამოხატოს საკუთარი რელიგია ან რწმენა თავყვანისცემის, რელიგიური წესებისადმი მორჩილების და სწავლების გზით.
2. არავინ შეიძლება გახდეს ისეთი მოპყრობის სუბიექტი, რომელიც ზიანს მიყენებს, შემზღუდავს პირის თავისუფლებას საკუთარი არჩევნის საფუძველზე ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან რწმენა.
3. რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შემზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია საჯარო უსაფრთხოების, მართლწესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

4. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და მეურვეთა უფლებას უზრუნველყონ თავიანთი აღსაზრდელების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის საფუძველზე.

დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (გაერო. 1981 წელი)

გენერალური ასამბლეა,

ითვალისწინებს რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი არის ის, რომ ღირსება და თანასწორობა ყველა ადამიანისთვის ბუნებითია, და რომ ყველა წევრ სახელმწიფოს პირობა აქვს დადებული ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, როგორც ერთობლივად, ასევე დამოუკიდებლად, ხელი შეუწყოს და წაახალისოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა ყველას მიმართ, განურჩევლად, რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა,

ითვალისწინებს რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტები აცხადებს არადისკრიმინაციულობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს და უფლებას აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე,

ითვალისწინებს რა, რომ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, კერძოდ, აზრის, სინდისის, რელიგიისა და ნებისმიერი სახის რწმენის თავისუფლების უფლების უგულვებელყოფა და დარღვევა, პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევს ომებს და კაცობრიობის მძიმე ტანჯვას, განსაკუთრებით, როდესაც ისინი, როგორც საშუალებები, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევას ემსახურებიან და ხალხებსა და ერებს შორის შუღლის გაღვივებას აღწევენ,

ითვალისწინებს რა, რომ რელიგია და რწმენა, ყველასთვის, ვინც მათ აღიარებს, ცხოვრების გაგების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, და რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება სრულად უნდა იყოს დაცული და გარანტირებული,

ითვალისწინებს რა, რომ აუცილებელია ხელი შეეწყოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებში ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და ურთიერთპატივისცემას, და რომ გარანტირებულად გამოირიცხოს რელიგიისა და რწმენის გამოყენება ისეთი შედეგების მისაღწევად, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის წესდებასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა შესაბამის ინსტრუმენტებთან და ამ დეკლარაციის მიზნებთან და პრინციპებთან,

დარწმუნებულია, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებამ წვლილი უნდა შეიტანოს საყოველთაო მშვიდობის, სოციალური სამართლიანობისა და ხალხთა შორის მეგობრობის მიზნების მიღწევასა და კოლონიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის იდეოლოგიებისა და პრაქტიკის აღმოფხვრაში,

კმაყოფილებით აღნიშნავს რა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებული ორგანიზაციების ეგიდით სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ რამდენიმე კონვენციის მიღებას და ზოგიერთის ძალაში შესვლას,

შეშფოთებულია რა, შეუწყნარებლობის გამოვლინებებითა და რელიგიისა და რწმენის საკითხებში დისკრიმინაციის არსებობით, რაც ჯერ კიდევ შეიმჩნევა მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში,

მტკიცედ აქვს რა გადაწყვეტილი, რომ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა მსგავსი შეუწყნარებლობის ყველა ფორმისა და გამოვლინების სწრაფი აღმოფხვრისათვის და წინ აღუდგეს და ებრძოდოს რელიგიის ან რწმენის ნიადაგზე დისკრიმინაციას,

აცხადებს ამ დეკლარაციას რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ:

მუხლი 1.

1. ყველა ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას მისდევდეს რელიგიას ან ნებისმიერი სახის მრწამსს საკუთარი არჩევანის შესაბამისად, ასევე თავისუფლებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო წესით განაცხადებდეს საკუთარ რელიგიას ან მრწამსს კულტმსახურებით, წეს-ჩვეულებათა დაცვით, პრაქტიკით და მოძღვრებით.
2. არავინ არ უნდა განიცდიდეს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას მისდევდეს რელიგიას ან მრწამსს საკუთარი არჩევანის შესაბამისად.
3. რელიგიისა ან მრწამსის გაცხადების თავისუფლებას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 2.

1. არავინ არ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას არცერთი სახელმწიფოს, დაწესებულების, პირთა ჯგუფის ან კერძო პირის მხრიდან, რელიგიის ან სხვა სახის მრწამსის ნიადაგზე.
2. ამ დეკლარაციის მიზნებისთვის გამოთქმა – „შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია რელიგიისა და რწმენის საფუძველზე“, გულისხმობს ნებისმიერი სახის განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობას დაფუძნებულს რელიგიასა თუ რწმენაზე, რომელიც მიზნად ისახავს ან რომელსაც შედეგად მოსდევს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების თანასწორად აღიარების, სარგებლობისა და განხორციელების მოსპობა ან შეზღუდვა.

მუხლი 3.

რელიგიისა და რწმენის საფუძველზე ადამიანთა დისკრიმინაცია ამკვიდრებს ადამიანის ღირსების შელახვასა და გავრთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების უარყოფას და უნდა დაიგმოს, როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებით დეტალურად ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა და ერთა შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობების დაბრკოლება.

მუხლი 4.

1. ყველა სახელმწიფომ უნდა მიმართოს ეფექტურ ზომებს, რათა თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას რელიგიისა და რწმენის საფუძველზე დისკრიმინაცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარების, განხორციელებისა და სარგებლობისას, სამოქალაქო, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.
2. ყველა სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყოველგვარ ძალისხმევას, რათა, საჭიროებისამებრ, მიიღოს ან გააუქმოს კანონები იმისთვის, რომ აიკრძალოს ნებისმიერი ამგვარი დისკრიმინაცია და მიმართოს შესაბამის ზომებს, ამ მხრივ, რელიგიისა და რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუხლი 5.

1. ბავშვის მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს უფლება აქვთ ოჯახური ცხოვრება წარმართონ საკუთარი რელიგიის ან მრწამსის მიხედვით და იმგვარი მორალური აღზრდის გათვალისწინებით, როგორშიც მათ მიაჩნიათ, რომ ბავშვი უნდა გაიზარდოს.
2. ყველა ბავშვი უნდა სარგებლობდეს რელიგიისა და მრწამსის სფეროში საკუთარი მშობლების ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერი მეურვეების ინტერესების შესაბამის განათლებაზე წვდომის უფლებით, და არ უნდა მოხდეს მათი იძულება, რომ

მიიღონ რელიგიის ან მრწამსის სწავლება საკუთარი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ინტერესების საწინააღმდეგოდ, ამასთან, სახელმძღვანელო პრინციპი ბავშვის ინტერესებია.

3. ბავშვი დაცული უნდა იყოს რელიგიისა და რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისგან. ის უნდა აღიზარდოს ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა შორის მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის, სხვა პირთა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემის სულისკვთებით და იმის სრული გაცნობიერებით, რომ საკუთარი ძალისხმევა და ნიჭი სხვა ადამიანების სამსახურს უნდა მიუძღვნას.
4. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი არ არის საკუთარი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მზრუნველობის ქვეშ, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მათ მიერ გამოხატულ სურვილებს ან რელიგიისა და მრწამსის სფეროში მათი სურვილების ნებისმიერ სხვა მტკიცებულებას, ამასთან, სახელმძღვანელო პრინციპი ბავშვის ინტერესებია.
5. რელიგიური ან რწმენისმიერი პრაქტიკა, რომელშიც ბავშვი იზრდება, ზიანს არ უნდა აყენებდეს მის ფიზიკურ ან გონებრივ ჯანმრთელობას ან მის სრულყოფილ განვითარებას, ამ დეკლარაციის 1-ლი მუხლის, მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.

მუხლი 6.

ამ დეკლარაციის 1-ლი მუხლის შესაბამისად და 1-ლი მუხლის, მე-3 პუნქტის დებულებების დაცვით, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლება, სხვებთან ერთად, მოიცავს შემდეგ თავისუფლებებს:

- (a) კულტმსახურება ან რელიგიასთან ან მრწამსთან დაკავშირებით შეკრება და ამ მიზნებით ადგილების შექმნა და შენახვა;
- (b) შესაბამისი საქველმოქმედო და ჰუმანიტარული დაწესებულებების შექმნა და შენახვა;
- (c) რელიგიურ ან რწმენისმიერ რიტუალთან ან წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული აუცილებელი საგნებისა და მასალების შესაბამისი მოცულობით წარმოება, შექმნა და გამოყენება;
- (d) ამ სფეროებში შესაბამისი პუბლიკაციების წერა, გამოცემა და გავრცელება;
- (e) რელიგიის ან მრწამსის სწავლება ამ მიზნებისთვის შესაფერის ადგილებში;
- (f) კერძო პირებისგან და დაწესებულებებისგან ფინანსური და სხვა სახის შემოწირულობების თხოვნა და მიღება;
- (g) შესაბამისი ლიდერების მომზადება, დანიშვნა, არჩევა ან მემკვიდრეობით დადგენა ამა თუ იმ რელიგიის ან მრწამსის მოთხოვნებისა და სტანდარტების გათვალისწინებით;
- (h) დასვენების დღეების დაცვა, დღესასწაულების აღნიშვნა და ცერემონიების შესრულება საკუთარი რელიგიის ან მრწამსის ჩვეულებათა მიხედვით;

- (i) რელიგიასა და მრწამსთან დაკავშირებით კერძო პირებთან და ერთობებთან კავშირის დამყარება და შენარჩუნება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეებზე.

მუხლი 7.

ამ დეკლარაციით გადმოცემული უფლებები და თავისუფლებები იმგვარად უნდა აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში, რომ ყველას შეეძლოს ამ უფლებებითა და თავისუფლებებით პრაქტიკაში სარგებლობა.

მუხლი 8.

დაუშვებელია ამ დეკლარაციაში რაიმე განმარტოს იმგვარად, რომ შეიზღუდოს ან შეილახოს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებით დადგენილი რომელიმე უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წელი)

მუხლი 1509. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან: ამ კოდექსის 1509¹ მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები (მუხლი 1509.1.“ზ“).

მუხლი 1509¹. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი

1. რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ზღუდავს რელიგიური გაერთიანებების უფლებას, დარეგისტრირდნენ, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე ეწეოდნენ საქმიანობას, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირი.
3. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

5. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი.
6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისთვის დადგენილი წესი და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის პირველი კარის მეორე თავით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999 წელი)

მუხლი 53. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. (მუხლი 53.3¹).

მუხლი 142. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა

1. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება,
 - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება:
 - ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
 - ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია,
 - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

მუხლი 155. რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა

1. ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა,
 - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,
 - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 156. დევნა

1. ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით,
 - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
2. იგივე ქმედება:
 - ა) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;
 - ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
 - გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,
 - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 166. პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა

- პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,
- ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

მუხლი 239¹. ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება

1. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამობატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს,

- ისჯება ჯარით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე.
 - 2. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,
 - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.
- შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარით.

მუხლი 252. უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა

1. ისეთი რელიგიური, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ანდა ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა,
 - ისჯება ჯარით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გაერთიანებაში მონაწილეობა,
 - ისჯება ჯარით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

**საქართველოს საგადასახადო კოდექსი
(1997 წელი)**

მუხლი 9. ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება რელიგიური საქმიანობა (მუხლი 9.2.“გ“).

მუხლი 11. რელიგიური საქმიანობა

1. რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორცაა:
 - ა) რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება;
 - ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად;
 - გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, ამ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა;

- დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.
2. რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

მუხლი 33. რელიგიური ორგანიზაცია

რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 99. გადასახადისაგან გათავისუფლება

მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება (მუხლი 99.1.“დ“).

მუხლი 168. გადასახადისაგან გათავისუფლება

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა: საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით (მუხლი 168.1.“ვ“).

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (2014 წელი)

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის,

მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

მუხლი 2. დისკრიმინაციის ცნება. დისკრიმინაციის აკრძალვა.

1. საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.
2. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.
3. ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.
4. მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია ორი ან მეტი ნიშნის გამო.
5. აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად.
6. ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.
7. დისკრიმინაცია არ არის სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსა-

კუთრებით – გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შებღული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ.

8. დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.
9. განსხვავებული მოპყრობა, პირობების შექმნა ან/და მდგომარეობა დასაშვებია, თუ არსებობს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი და სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

მუხლი 4. დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები

დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია:

- ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას;
- ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს;
- გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეუღალახავად.

მუხლი 5. ამ კანონის ინტერპრეტაციის წესი და ფარგლები

1. ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რელიგიური გაერთიანებისათვის რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინარე უფლებების (მათ შორის, რელიგიური მსახურების უფლების) შეზღუდვას, იმ პირობით, რომ ამ უფლებებით სარგებლობა არ ხელყოფს საჯარო წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და სხვათა უფლებებს.
2. ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციურ შეთანხმებას.

3. დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განხორციელებულმა ღონისძიებებმა ან ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის მქონე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელებამ/დაცვამ არ უნდა ხელყოს საჯარო წესრიგი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან/და სხვათა უფლებები.
4. აკრძალულია ამ კანონით განსაზღვრული უფლებებით ისე სარგებლობა, რომ იგი მიზნად ისახავდეს ან იწვევდეს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის მქონე პირებს ან პირთა ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებას.
5. ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი არარაოდ აქცევდეს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე უფლებას ან თავისუფლებას ან ზღუდავდეს მას იმაზე მეტად, ვიდრე ეს თვით ამ ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

მუხლი ნ. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელება

1. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.
2. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი:
 - ა) განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს;
 - ბ) შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას;
 - გ) ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
 - დ) ამ კანონის მიზნებისათვის შეიმუშავებს მოსაზრებებს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და მათ საკანონმდებლო წინადადების სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;
 - ე) იწვევს დისკრიმინაციის მსხვერპლს და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმასხორციელებელ პირს და ცდილობს საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს;
 - ვ) დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას ან პირს, თუ საქმის მორიგებით დასრულება შეუძლებელი აღმოჩნდება და არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს;
 - ზ) უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპა-

- ლუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს;
- თ) აღრიცხავს და აანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ;
 - ი) ახორციელებს ღონისძიებებს დისკრიმინაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად;
 - კ) დისკრიმინაციის საკითხებზე თანამშრომლობს საერთაშორისო სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

მუხლი 7. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

1. საქართველოს სახალხო დამცველი წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.
2. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

მუხლი 8. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვა

1. პირმა, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით/საჩივრით მიმართავს, უნდა მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, და უნდა წარადგინოს შესაბამისი მასალები.
2. პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმარტებულ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.
3. თუ საქართველოს სახალხო დამცველი საჭიროდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია დანიშნოს ზეპირი მოსმენა და მოიწვიოს მხარეები საქმის მორიგებით დასასრულებლად. საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებს მორიგების აქტივ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.
4. ნებისმიერი ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მათ შორის, პროკურატურის, საგამოძიებო, სასამართლო ორგანო) ვალდებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუ-

თი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია კანონით დადგენილი წესების დაცვით გადასცეს საქართველოს სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. თუ ინფორმაცია ნებაყოფლობით კერძო პირისგან მიიღება, მას საკუთარი მოთხოვნით შეიძლება აუნაზღაურდეს ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებული ასლის გადაღების და საფოსტო მომსახურების ხარჯები.

5. საქართველოს სახალხო დამცველი განცხადებას/საჩივარს განიხილავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო:
 - ა) დავას სასამართლო განიხილავს;
 - ბ) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;
 - გ) მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.
2. საქართველოს სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო:
 - ა) საქმეზე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება;
 - ბ) განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.
3. თუ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი და დისკრიმინაციის შედეგები არ არის აღმოფხვრილი, საქართველოს სახალხო დამცველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით ასრულებს საქმის წარმოებას დარღვეული თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელების შესახებ რეკომენდაციის გამოცემით.

მუხლი 10. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა

1. ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.
2. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

მუხლი 11. საქმის განხილვის პროცესში მესამე პირის მონაწილეობა

1. ორგანიზაციას, დაწესებულებას ან გაერთიანებას, რომლის საქმიანობის სფეროც მოიცავს პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვას, უფლება აქვს, მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს ამ კანონით გათვალისწინებული საქმის განხილვის პროცესში მესამე პირად ჩართვის მოთხოვნით.

2. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ პირის თანხმობის შემთხვევაში, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს.

მუხლი 12. კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას პირთა დაცვა

1. აკრძალულია ნებისმიერი პირის მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.
2. ამ კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას და შემდეგაც შესაბამისმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს დისკრიმინაციის მსხვერპლთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აკრძალულია დისკრიმინაციის მსხვერპლის თანხმობის გარეშე ამგვარი ინფორმაციის მესამე პირისთვის მიწოდება, გარდა კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა.
3. ამ მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დისკრიმინაციის მსხვერპლს უფლება აქვს, განცხადებით მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N117

2014 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

„საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლის გათვალისწინებითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 31 ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესი“.

მუხლი 2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, წამოადგინოს წინადადებები რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესი

მუხლი 1.

1. საქართველოს მთავრობა ადასტურებს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებულ ზიანს, რომელიც მიადგა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში.
2. ამავე დროს საქართველოს მთავრობა აღიარებს საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს (შემდგომში – საბჭოთა რეჟიმის დროს) მიყენებულ ზიანს.
3. ეს წესი ვრცელდება საქართველოში ამ დადგენილების მიღებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიურ გაერთიანებებზე.

მუხლი 2.

1. ამ წესის შესაბამისად საქართველოს მთავრობა:
 - ა) საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, აცხადებს მზადყოფნას, ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრულ რელიგიურ გაერთიანებებს ნაწილობრივ აუნაზღაუროს ის მატერიალური და მორალური ზიანი, რომელიც მათ მიადგათ საბჭოთა რეჟიმის დროს;
 - ბ) ადასტურებს, რომ უცნობია ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ზიანის ზუსტი ოდენობა და ამდენად ზიანის ანაზღაურება განხორციელდება სიმბოლურად;
 - გ) წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ რელიგიურ გაერთიანებებს მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის ყოველწლიურად გამოყოფის გზით.
2. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს არ აქვთ სამართლებრივი კავშირი საბჭოთა რეჟიმის დროს დაზარალებულ რელიგიურ გაერთიანებებსა და თემებთან, საქართველოს მთავრობა ზიანს აუნაზღაურებს იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც აღიარებს იმავე რელიგიურ მოძღვ-

რებას და/ან მას აქვს აღმსარებლობითი მემკვიდრეობა დაზარალებული რელიგიური გაერთიანებებისაგან.

მუხლი 3.

1. საბჭოთა რეჟიმის დროს მიყენებული ზიანი აუნაზღაურდება დაზარალებული რელიგიური გაერთიანების ან თემის აღმსარებლობითი მემკვიდრეობის მქონე ერთ რელიგიურ გაერთიანებას.
2. თუ რელიგიური გაერთიანების/აღმსარებლობის სახელით, რომელ-საც საბჭოთა რეჟიმის დროს მიადგა ზიანი, დარეგისტრირებულია ერთზე მეტი რელიგიური გაერთიანება, მათ ანაზღაურების მისაღებად 2014 წლის 10 ნოემბრამდე უნდა განახორციელონ ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ერთ-ერთი:
 - ა) რეორგანიზაციის გზით გაერთიანდნენ ერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს ანაზღაურება;
 - ბ) შექმნან წარმომადგენლობითი საბჭო, რომელშიც შევა ერთი და იმავე აღმსარებლობის ყველა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი, რომელიც იქნება უფლებამოსილი, აწარმოოს სახელმწიფო ორგანოებთან თავისი აღმსარებლობის სახელით ურთიერთობა, მიიღოს ანაზღაურება და იყოს სოლიდარულად პასუხისმგებელი მიღებული თანხის მიზნობრივად ხარჯვაზე.
3. რელიგიური გაერთიანება, რომელიც უარს აცხადებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე, უფლებას კარგავს მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.

მუხლი 4.

1. მხოლოდ, საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი, განსაზღვროს ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებებისათვის ყოველწლიურად გადასარიცხი თანხის წლიური ჯამური ოდენობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხიდან, ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრულ ცალკეულ რელიგიურ გაერთიანებაზე და/ან წარმომადგენლობით საბჭოზე ყოველწლიურად გასაცემი თანხის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო.

მუხლი 5.

1. ამ წესით გათვალისწინებული ყოველწლიურად გადასარიცხი თანხა იყოფა და ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ რელიგიურ გაერთიანებას და/ან წარმომადგენლობით საბჭოს ერიცხება პერიოდულად, ხოლო თანხის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება მათთან ინდივიდუალურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

- რელიგიური გაერთიანება ან/და წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც ამ წესის შესაბამისად, მიიღებს ანაზღაურებას, ვალდებულია მიღებული თანხა მიმართოს მხოლოდ საკუთარი წესდებით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მუხლი 6.

ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ რელიგიურ გაერთიანებებთან ან/და წარმომადგენლობით საბჭოებთან სახელმწიფოს სახელით ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს დებს სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №177

2014 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების
დამტკიცების შესახებ**

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის შესაბამისად:

- შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო.
- დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დებულება.

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 3. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის დანიშვნა.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ამ დებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის ახორციელებს საინფორმაციო, კვლევით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობას რელიგიის სფეროში.
2. სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, გააჩნია თავისი შემოსავლები, შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
3. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. სააგენტო საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულების საფუძველზე. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, კანონმდებლობის საფუძველზე გადაცემული ქონება, ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში და ბანკში.
5. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7.

მუხლი 2. სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. სააგენტო:
 - ა) იკვლევს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოში რელიგიის სფეროში არსებულ მდგომარეობას;
 - ბ) ამზადებს რეკომენდაციებს, მათ შორის სამართლებრივი აქტების პროექტების სახით და გასცემს კონსულტაციებს რელიგიური გაერთიანებებისათვის პრობლემატურ საკითხებზე;
 - გ) ამზადებს რეკომენდაციებს კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით;
 - დ) იკვლევს ევროპის კავშირის ქვეყნებში არსებულ სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობათა სისტემებს;
 - ე) შეისწავლის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების გამოცდილებას და სტანდარტებს რელიგიის სფეროში;
 - ვ) კვლევების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს საქართველოს მთავრობას;

- ბ) ამყარებს კავშირს და თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ ორგანიზაციებთან;
 - თ) ქმნის და აწარმოებს რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკს;
 - ი) უფლებამოსილი ორგანოებისათვის გასცემს რეკომენდაციებს რელიგიურ – საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე;
 - კ) საქართველოს მთავრობის სახელით, უფლებამოსილია შეასრულოს შუამავლის ფუნქცია და მონაწილეობა მიიღოს იმ დავებისა და საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეიძლება გაჩნდეს საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს შორის;
 - ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს წინადადებებს რელიგიის სფეროში განათლების შესახებ;
 - მ) შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად;
 - ნ) ხელს უწყობს ინტერრელიგიური და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებას რელიგიურ გაერთიანებათა შორის;
 - ო) ახორციელებს პრემიერ-მინისტრის დავალებებს რელიგიის სფეროში.
2. სააგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირები.

მუხლი 3. სააგენტოს მართვა და წარმომადგენლობა

1. სააგენტოს ჰყავს თავმჯდომარე (შემდგომში – თავმჯდომარე), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
2. სააგენტოს თავმჯდომარე კომპეტენციის ფარგლებში:
 - ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სააგენტოს საქმიანობას;
 - ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
 - გ) ახორციელებს ზედამხედველობას სააგენტოს აპარატის მიერ უფლებამოსილების შესრულების მიმდინარეობაზე, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სააგენტოს თანამშრომლების საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;
 - დ) მოქმედებს სააგენტოს სახელით და წარმოადგენს მას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ; კომპეტენციის ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს სააგენტოს სახელით;

- ე) უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია სააგენტოსათვის დასახული ამოცანების განხორციელებაზე;
 - ვ) შეიმუშავებს სააგენტოს სამოქმედო გეგმასა და პრიორიტეტებს;
 - ზ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს აპარატის თანამშრომლებს;
 - თ) საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით განსაზღვრავს სააგენტოს საშტატო განრიგსა და ხელფასის ფონდს;
 - ი) განსაზღვრავს სააგენტოს აპარატის თანამშრომლების დისციპლინური პასუხისმგებლობის და წახალისების ზომებს;
 - კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
 - ლ) წელიწადში ერთხელ საქართველოს მთავრობას წარუდგენს სააგენტოს საქმიანობის და ფინანსურ ანგარიშს;
 - მ) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;
 - ნ) კანონმდებლობით დადგენილი წესით და სააგენტოს საქმიანობის მიზნებისთვის განკარგავს სააგენტოს შემოსავლებს;
 - ო) ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც მას ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით.
3. თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე.
 4. თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურა

1. სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.
2. სააგენტოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
 - ა) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;
 - ბ) საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური;
 - გ) საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
 - დ) ადმინისტრაციული სამსახური.
3. სააგენტოს თანამშრომელთა ფუნქციური მოვალეობები განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.
4. სააგენტო უფლებამოსილია ჰყავდეს რელიგიათმცოდნეობის, რელიგიის სამართლის, თეოლოგიის და სხვა საკითხებში კონსულტანტები, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 5. სააგენტოს დაფინანსება

სააგენტოს შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები;
- ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გრანტებით მიღებული შემოსავალი;
- გ) ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

მუხლი 6. სააგენტოს ქონება

კანონმდებლობით და ამ დებულებით სააგენტოსთვის განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, სააგენტოს გადაეცემა შესაბამისი ქონება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.
2. საქართველოს მთავრობის თანხმობითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტომ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
 - ა) უძრავი ქონების შექმნა, გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა;
 - ბ) სესხის აღება;
 - გ) თავდებობა;
 - დ) საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;
 - ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისთვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;
 - ვ) სხვა გადაწყვეტილებების მიღება თავის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

მუხლი 8. საბუღალტრო ანგარიშგება

1. სააგენტო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.
2. სააგენტოს წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი, რომლის ხარჯებს ანაზღაურებს სააგენტო.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. სააგენტოს ლიკვიდაცია

სააგენტოს ლიკვიდაცია ხდება კანონით დადგენილი წესით.

